

# მთაბე

შაბათი, დეკემ. 10.

1921 წ.

წელიწადი  
პირველი

## შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 23 ეფელ კვირული ორგანო. № 23

### რედაქციის მისამართი:

რედაქცია ღია: ეფელ დღე დღის 9 ს. — 2 სართამდე.

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელფის ქ. № 1.  
(ეფელ — კადეტთა კონფრესის შენობა) ტელეფონი № 6-90.

რედაქტორის ნახვად შეიძლება 12 ს. — 2 სართამდე.

## ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება № 104 \*

საქართ. სოციალ. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

თათვის ბარათებით ან კოლექტიური მოპარაგების წესით, აგრეთვე საწარმოო და სასპეციალო ტანი ამოსის და წამლებისათვის.

2. გაცემულ საქონლის თასებს აწესებს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული ფასების დამწესებელი კომიტეტი.

3. საკულოდ, ახალი ფასობ-ს შემუშავებამდე, გაცემა მოხდეს საბაზრო ფასებზე არა ნაკლები დროებითი ფასებით და არა ნაკლებ ომამდე არსებული მანეთის მყიდველობითი ძალის საშუალო ცვლილებებისა.

**შენიშვნა:** დროებითი ფასებს აწესებენ კომისიები, რომლებიც შესდგება სამაზრო სასურსათო კომისარიატისა, ეკონომიურ განყოფილებისა, სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა და სამაზრო პროფესიონალური ბიუროს წარმომადგენელთაგან და რომლებსაც აიტკაცებს სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტი, ხოლო გაცემა ძველი ფასებით უნდა მოიპოს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ გაცემულ საგნებისათვის ფასი სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებულია ნატურად — ეს უკანასკნელი უნდა აღებულ იქნეს სათანადო ფულის ღირებულების ანგარიშით.

5. ამავე საფუძველზე უნდა დაწესდეს სავალდებულო ფასი იმ ხელშეწყობისათვის, რომელსაც სახელმწიფო გაწევს კერძო მეურნეობას და კერძო პირს, როგორც არის მაგალითად, სარგებლობა: მანქანებისა, იჯარისა და ქირის სახით, სარგ-

სახელმწიფოს მიერ კერძო მეურნეობისათვის გაცემულ საქონლისა და ქონების ფასის გადახდევინების შესახებ.

1. ყოველი საგნისათვის, რომელსაც გადასცემენ სახელმწიფო ორგანოები კერძო პირებსა და ორგანიზაციებსა — მათ შორის კოოპერატივებს, — როგორც არის მაგალითად საწარმოო იარაღი, ინვენტარი, ფართოდ მოსახმარი და საშინაო საქონლების საგნები, სხვა და სხვა გვარი მასალა და სხვა რამ ამისთ., — გადახდილ უნდა იქნეს ფასი.

ამა წესის გამონაკლისი შეიძლება იქნეს რევოლიუციონური კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით.

**შენიშვნა 1:** ფასი არ უნდა იქნეს გადახდილი ბავშვების კვებისა და იმ საგნებისათვის, რომელიც გაცემულ იქნება სოციალური უზრუნველყოფის წესით.

2. ფასი არ უნდა იქნეს გადახდილი სურსათისა და იმ მოსახმარი საგნებისათვის, რომელიც გაცემულ იქნება სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრ-

\*), „მოამბის“ № 22-ში მოთავსებულ დადგენილებას შეცდომით ეწერა „№ 104“.

მონტო სახელოსნოებისა, ელექტრონისა, წყლის მიწვდისა, ტრამვაისა, წამლებისა და სხვა რამ ამისთ.

6. ამ დადგენილების აღსრულებისათვის ბეჯითი მეთვალყურეობა დაევალება სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტებს.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28. ტფილისი. — სასახლე.

### დადგენილება № 106

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

რევოლიუციონური ტრიბუნალის გაერთიანების შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა რევოლიუციონურ ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების მიზნით, საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონური სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, — თავისი თანამდებობისამებრ, — შედის საქართველოს უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის შედგენილობაში ამ ტრიბუნალის კოლეგიის წევრად.

2. საქართველოს უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, ამ ტრიბუნალის თავმჯდომარის დანიშვნით, შედის კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონური სამხედრო ტრიბუნალის შედგენილობაში ამ უკანასკნელი ტრიბუნალების კოლეგიის წევრად.

3. ბათუმის გამაგრებულ რაიონის რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალის წარმომადგენელი, თავმჯდომარის დანიშვნით, შედის ქუთაისში და ბათუმში არსებულ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალის შედგენილობაში უკანასკნელ ტრიბუნალების კოლეგიათა წევრად, ხოლო ქუთაისში და ბათუმში არსებულ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალის წარმომადგენლები ბათუმის გამაგრებული რაიონის რევოლიუციონური სამხედრო ტრიბუნალის შედგენილობაში, ამ უკანასკნელი ტრიბუნალის კოლეგიის წევრებად.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნული პირნი მონაწილეობენ სათანადო ტრიბუნალების სასამართლო სხდომებში, როცა მათ დანიშნავენ ამ

ტრიბუნალების თავმჯდომარენი, რის შესახებ მათ თავის დროზე უნდა ეცნობოს.

5. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე უნდა შეუთანხმდეს კავკასიის ცალკე არმიის რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს და ამა დადგენილების აღსასრულებლად გასცეს სათანადო განკარგულება.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 28.

ტფილისი — სასახლე.

### დადგენილება № 107

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

განათლების დარგში მომუშავეთა დაბრუნებისათვის სპეციალობის სამუშაოზე.


რათა განათლების დარგში მომუშავეთა სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სათანადო გამოყენებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს ყოველ ადგილას მობილიზაცია განათლების დარგში მომუშავეთა, რომელთაც აქვთ ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული მომზადება და სტაჟი და ვინც არა მსახურობს თავის სპეციალობის საქმეზე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებაში, წარმოებაში და სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მეურნეობაში და წითელ არმიაში, აგრეთვე მათიც, ვინც ასეთ სამსახურში არ იმყოფება, იმ გამოკლებით, რაც აღნიშნულია მე-4 მუხ., რათა მობილიზაციით გაწვეულნი დანიშნულ იქნენ თავიანთ სპეციალობის სამუშაოზე.

2. განათლების დარგში მომუშავენი, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ თავიანთ სპეციალობის საქმეზე და აქვთ გამოცდილება და სტაჟი, მე-3 მუხ. აღნიშნული, ჩათვალნენ უკვე მობილიზაციის წესით გამოწვეულად და დაჩნენ თავიანთ ადგილებზე განსაკუთრებულ განკარგულებაზე.

3. მობილიზაციას ექვემდებარებიან (მუხ. 1 და 2).

ა) ის პირნი, ვისაც გაუვლია ინსტიტუტები, კურსები და სხვა რამ ამგვარი ერთ წლიანზე არა ნაკლები, რომელნიც ამზადებენ: განათლების სხვა



და სხვა ტიპის მომუშავეს: სკოლის გარეშე, სკოლისა, პოლიტიკურ განათლებისა და პროფესიონალურ-ტექნიკურისა, უკეთეს ხსენებულ ინსტიტუტებისა, კურსებისა და სხვა რამ ამგვარის გათავების დღიდან ამა დადგენილების გამოცემამდე 7-დ წელზე მეტს არ გაუვლია.

ბ) ის პირნი, ვისაც არა აქვს სპეციალური, თეორეტიული მომზადება (მუხ. 3 პ. ა.), მაგრამ უმეტადნია უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში სამს წელზე არა ნაკლებ, როგორც თავისი სპეციალობის ძირითად საქმეზე: სკოლამდე აღზრდის დარგში, სკოლაში პოლიტიკური განათლებ-სათვის, სკოლის გარეშე, პროფესიონალურ ტექნიკურისა და ყველა ტიპის უმაღლეს სკოლაში, აარეთვე უმუშავნია მეცნიერულად სამეცნიერო დაწესებულებაში.

გ) ის პირი, ვინც მუშაობს ერთ წელზე არა ნაკლებ, როგორც ინსტრუქტორი, სახალხო განათლების განყოფილებაში, წითელი არმიის სააგიტაციო და პოლიტიკურ განათლების დარგში, პროფესიონალური კავშირების საკულტუროსა და კულტურულ განათლების განყოფილებებში და საბჭოთა დაწესებულებაში.

4. წითელ არმიელთა და იმ პირთა შორის, ვისაც სამხედრო უწყებაში უჭირავს საკომანდო და ადმინისტრაციულ სამეურნეო თანამდებობა და აკმაყოფილებს ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას, წარვლინებულ უნდა იქნეს თავის სპეციალობის სამუშაოზე მხოლოდ:

ა) ის წითელ არმიელი, რომელიც დაბადებულია 1894 წელს ან უფრო ადრე და ბ. ის პირი, რომელსაც უჭირავს საკომანდო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო თანამდებობა—გუნდის კომანდირის თანამდებობაზე მცირე. წარვლინების წესის დასამუშავებლად—დაევალოს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატს განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—შემუშაოს სათანადო ინსტრუქცია.

5. ყველა ის პირი, რომელიც მე-3 მუხ. თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას, და სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფება,—ვალდებულია შვიდი დღის ვადაზე,—დღიდან ამა დადგენილების აღვილობრივ გამოქვეყნებისა, ჩაწეროს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების აღვილობრივ სამართველოში, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ასეთი სამმართველო არ არსებობს, აღვილობრივ რეგულირციონურ კომიტეტში.

6. ის პირი, რომელიც,—მე-3 მუხ. თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და სამსახურში იმყოფება, თავისუფალია სარეგისტრაციოდ პირადად გამოცხადებისაგან, ხოლო სამაგიეროდ, დაწესებულება, წარმოება ან მიუზრუნება, სადაც ის პირი მუშაობს, ვალდებულია მე-5 მუხლში აღნიშნულ ვადაზე,—წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით, წარადგინოს, შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულის ფორმით, მუშა ხელის

აღრიცხვისა და განაწილების აღვილობრივ სამმართველოში სათანადო ცნობა მის შესახებ,—გარდა პედაგოგებისა, რომელნიც მუშაობენ ტექნიკოსი სპეციალისტი, ერთ-ერთ სასწავლებელში და რომელთა შესახებ რეგისტრაციას აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატი.

7. ყველა, 1 სა და მე-2 მუხ. აღნიშნული, პირი, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ითვლება მობილიზაციის წესით გაწვეულად და უნდა დარჩეს თავის ადგილზე, ვიდრე მის შესახებ არ იქნება მიღებული განსაკუთრებული განკარგულება ამა დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნული დაწესებულებისაგან.

8. მობილიზაციის წესით გაწვეულ განათლების დარგში მომუშავეთა დანიშვნას მათ სპეციალობის სამუშაოზე აწარმოებს მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველო, სახალხო განათლების განყოფილებასა და განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან შეთანხმებით, ხოლო იმ პირთა დანიშვნას, ვინც მუშაობს როგორც ტექნიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ცენტრალური სამმართველო.

9. ვინცობაა, მობილიზაციის წესით გაწვეულმა პირმა, რომელიც ჯერ არ ყოფილა დანიშნული სამუშაოზე (მუხ. 8), ადვილ-საცხოვრებელი გამოიკვალა,—იგი ვალდებულია დაუაოვნებოივ შეატყობინოს იმ დაწესებულებას, რომელშიაც არის ჩაწერილი მუხ. 6,—დაწესებულება, წარმოება და მეურნეობა, საიდანაც მიღიან ან სხვაგან, გადადიან განათლების დარგში მომუშავენი, მობილიზაციის წესით გაწვეულნი, ხოლო სამუშაოზე ჯერ არ დანიშნულნი, ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაზე წარუდგინონ ყველა ცნობები მათი სამსახურიდან გასვლისა ან ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლის შესახებ მუშა-ხელის აღრიცხვისა და განაწილების მახლობელ სამმართველოს.

10. შუამდგომლობა მობილიზაციის წესით გაწვეულ მომუშავეთა თავიანთ თანამდებობაზე დატოვების შესახებ იგზავნება შრომის აღვილობრივ განყოფილებასთან არსებულ კომისიაში, რომელიც განაგებს შრომა ვალდებულოთავის ვადის ვადიდების ან წარვლინების დანიშვნის საქმეს. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხს განათლების მომუშავეთა კავშირის განყოფილებასთან და დაინტერესებული დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად. სახალხო განათლების განყოფილებას და დაინტერესებულ დაწესებულებას შეუძლიანთ გაასაჩივრონ, ამ კომისიების დადგენილებანი სათანადო უმაღლეს კომისიაში, სახელდობრ სამსახრო კომისიების დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ კომისიაში, რომელიც შესდგება განათლების სახალხო კომისარიატის, სოციალისტური-კულტურის მუშაკთა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან.



განსაჩივრებისათვის დაწესებულია ერთი თვის ვადა იმ დღიდან, რა დღესაც მიიღებს ამა დადგენილების მე-7 მუხლში აღნიშნულ განკარგულებას ის დაწესებულება, რომელშიაც მიმდინარეობდა პირვანდელი სამსახური მობილიზაციის წესით გაწვეული პირისა.

უკეთეს აღნიშნული ვადა გაცდენილი იქნება, — განსაჩივრება არ უნდა იქნეს განხილული, განათლების დარგში მომუშავე, რომლის გამო აღძრულია შუამდგომლობა მის თანამდებობაზე დატოვების შესახებ, დარჩება თავის თანამდებობაზე, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდეს შუამდგომლობა და საჩივრები.

**შენიშვნა.** იმ პირთა შესახებ, ვინც მუშაობს როგორც ტენიკოს-სპეციალისტი სამეურნეო ორგანოებში, შუამდგომლობა აღძრულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიის წინაშე, რომელიც განაგებს შრომა ვალდებულთათვის ვადის გადიდებისა და წარვლინების საქმეს.

11. ის პირი, რომელიც ამა დადგენილების თანახმად, ექვემდებარება მობილიზაციას და დანაშაულს ჩაიდენს მით, რომ არ დაემორჩილება მუშახელის აღრიცხვისა და განაწილების სამმართველოს (მუხ. 8), ჩაითვლება შრომის დეზერტირად და დაისჯება შრომის დეზერტირებისათვის.

12. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისა, ვინც დანაშაულობას ჩაიდენს მით, რომ დაჰფარავს და არ წარადგინს ცნობას სამსახურში მყოფ (მუხ. 6) მობილიზაციის ქვემდებარე პირთა შესახებ (მუხ. 2), მიცემულ იქნებიან სამართალში როგორც შრომის დეზერტირების დამფარველი.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახ. კომისარი. დ. კანდელაკი.

რევოლუციური კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.  
ტფილისი. — სასახლე.

## დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტისა საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს შესახებ.

იმ მიზნით, რომ შრომის დისციპლინა ცხოვრებაში იქნეს გატარებული შრომის ნაყოფიერობის უმაღლეს საფეხურამდე აყვანისათვის — საქართვე-

ლოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ადგენს:

1. დისციპლინარულ საქმეთა განსახილველად დაარსდეს:

ა) საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები და ბ) უმაღლესი საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები.

საამხანაგო დისციპლინარული სასამართლო მოქმედებს პირველი ინსტანციის სახით და იმყოფება ქალაქებსა და მაზრებში პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან; უმაღლესი დისციპლინარული სასამართლო მოქმედებს მეორე ინსტანციის სახით და იმყოფება სამაზრო ბიუროსთან, ხოლო ქ. ტფილისში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

2. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს თავმჯდომარეები და მისი მოადგილენი ამორჩილ უნდა იქნენ პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო ბიუროს სხდომაზე, სასამართლოს წევრები და მათი კანდიდატები კი — ერთი წევრი-ჯგუფისა, ან ქარხნის ადგილობრივ მმართველობის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ, ხოლო მეორე — იმ წარმოების ან დაწესებულების წევრთა საზოგადოებრივი მიერ, რომელთა საქმეებიც არის განსახილველი.

3. უმაღლესი საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები შესდგება თავმჯდომარისა და მისი მოადგილისაგან, რომელთაც ამოირჩივს: ტფილისში — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალური კავშირთა საბჭო, ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილებში — სამაზრო ბიუროს საბჭო თავის წევრთა შორის, — და ორი წევრისაგან: ერთი მათგანი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ან მისი ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი, ხოლო მეორე — შრომის სახალხო კომისარიატისა ან მისი ადგილობრივი ორგანოსი.

უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე სათათბირო ხმით მონაწილეობენ: ტფილისში — სახალხო მოსამართლეთა საბჭოს, ხოლო მის დაარსებამდე — იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რესპუბლიკების სხვა ადგილებში კი ადგილობრივი სახალხო მოსამართლე.

4. თავმჯდომარე, სასამართლოს წევრები და მათი კანდიდატები ამოირჩევიან ექვსი თვის ვადით; ამასთანავე საამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოთა და ტფილისის გარეშე არსებულ უმაღლეს დისციპლინარული სასამართლოთა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს თანამდებობაზე ამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო. უკეთეს აღნიშნული პირნი თავის დანიშნულებას არ შეეფერებიან, მათ ამოირჩეველ ორგანოებს უფლება აქვთ უკანვე გაიწვიონ ისინი რწმუნებულების ვადის გასვლამდე.

5. როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო და კერძო წარმოებისა და დაწესებულებების ყოველი

მუშა-მოსამსახურე, — წევრი პროფესიონალური კავშირისა, — სამსახურის საქმეთა გამო დანაშაული-სათვის ექვემდებარება დისციპლინარულ სასამართლოს.

6. სამსახურებრივ დანაშაულად ჩაითვალოს: ა) დაკვიანება სამუშაოზე; სამუშაოდან წასვლა ან სამუშაოს დადგენილ დრომდე მიტოვება არა პატივსადები მიზეზით;

ბ) მოცდენა არა პატივსადები მიზეზით; გ) სხვა მუშების მუშაობაზე მოცდენა და მათი მუშაობის ხელის შემშლელი მოქმედება;

დ) დაუდევრობა თავის მოვალეობისადმი, კერძოდ — არაწესიერი მუშაობა, გ. ი. ცუდი თვისების ნამუშევრის გაკეთება და აგრეთვე მანქანებისა, მასალისა და სხვ. დაუდევრობით წახდენა;

ე) შრომის ნაყოფიერების ნორმის მიუღწევლობა არაპატყვისადები მიზეზით;

ვ) წარმოებასა და დაწესებულებაში სისუფთავის და უსაფრთხოების წესის დარღვევა,

ზ) შრომის დაცვისათვის დადგენილ წესების დარღვევა;

თ) სამსახურის დროს კერძო საქმის კეთება.

ი) ხულიგანობა, უმართებულო ყოფა-ქცევა და უხეშობა წარმოებასა და დაწესებულებაში მუშაობის დროს;

კ) უშაღღეს ორგანოთა და პირთა სამსახურებრივი განკარგულების აუსრულებლობა;

ლ) სამუშაოზე უარის თქმა ან თვითნებობით მისი მიტოვება;

მ) უხეში და უყურადღებო მოპყრობა მომსვენელთა დმი;

ნ) მომქმედი სატარიფო წესების დარღვევა;

ო) დაშვება დისციპლინის დარღვევისა და აშკარა უთაურობა სამუშაო ძალთა რაციონალურად მოხმარების საქმეში;

პ) წარმოების მუშაობასთან დაკავშირებული წვრილ წვრილად რისამე მითვისება, თუ ამას არა აქვს ორგანიზაციონური და სისტემატიური ხასიათი;

რ) პირველი საჭიროების საგნებისა და სურსათის დარიგება განაწილების დროს წარმოებაში ჩადენილი მკირე ბოროტმოქმედება;

ს) შინაგანი წყობალებისათვის დადგენილ წესთა დარღვევა და სხვა ამა დებულებით გაუთვალისწინებელი დისციპლინარული დანაშაული;

7. სანიმუშო სახე სასჯელისა, რომელიც დისციპლინარულ საამხანაგოს შეუძლია განუჩინოს.

ა) შენიშვნა გაფრთხილებით, თუ რა სასჯელი მოელის დანაშავეთ შემდეგში;

ბ) საყვადური წარმოებასა, დაწესებულებასა ან პრესაში გამოცხადებით;

გ) სანაჭრო პრემიალურ გასამრჯელოს ან ნატურალურ პრემიის შემკირება მისი სრულიად ჩამორთმევამდე განსაზღვრულ ვადის განმავლობაში;

დ) გაცდენილი დროს ნაცვლად გადაკვეთილზე ზედმეტი მუშაობა და უქმე-დღეებშიაც ხელ-

ფასით თუ უხელფასოთ ზედმეტი მუშაობის დაკისრება;

ე) გადაკვეთილი თუ ზედმეტი მუშაობის დაკისრებაში ან დაწესებულებაში;

ვ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა სამ თვემდე დაბალი სატარიფო განაკვეთის დანიშვნით;

ზ) საარჩევნო ან პასუხსაგებ თანამდებობის დაჭერის აღკრძალვა სათანადო წარმოებაში და დაწესებულებაში ექვსი თვის ვადამდე;

თ) წარმოებიდან ან დაწესებულებიდან დათხოვნა საკავშირო ორგანიზაციებში საარჩევნო უფლების ჩამორთმევით ექვსი თვის ვადამდე, სათანადო ორგანოთათვის შეტყობინებით;

ი) სამძიმო იძულებითი სამუშაოზე გადაყვანა იმავე წარმოებაში ან მის გარეშე ექვსი თვის ვადამდე თავისუფლების აღუკვეთლად.

8. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს სხდომები სწარმოებს დროგამოშვებით, საჯაროდ და სამუშაო დროის გარეშე; მისი გადაწყვეტილება გამოეცხადება წარმოებას ან დაწესებულებას.

9. საამხანაგო დისციპლინარული გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქმნეს დაინტერესებულ პართა მიერ, სათანადო საამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოს მეშვეობით, უშაღღეს საამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოში ხუთი დღის განმავლობაში დოდან გადაწყვეტილების სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებისა. უშაღღესი საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სისრულეში მოყვანილ უნდა იქმნეს დაუყონებლივ.

შენიშვნა: გადაუდებელ და უდავო შემთხვევაში საამხანაგო დისციპლინარულ სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განსაკუთრებული დადგენილება თავის გადაწყვეტილების დაუყონებლივი აღსრულების შესახებ, მიუხედავად მისი განსაჩივრებისა ბრალდებულის მიერ.

10. უკეთუ დანაშაული თავისი თვისებით და შედეგებით მეტის სასჯელის დადებას მოითხოვს, ვიდრე ამა დებულებით გათვალისწინებულია ან შეადგენს არა სრულ-წლოვანთათვის საქმეთა კომისიისა, სახალხო სასამართლოსა ან რევოლიუციონურ ტრიბუნალების ქვემდებარე საგახს, საქმე გადაეცემა ხსენებულ სასამართლოებს კუთვნილებით სამებრ.

შენიშვნა: არა სრულ-წლოვანთათვის საამხანაგო დისციპლინარული სასამართლო მიიღებს ზედმოქმედებით ყოველ იმ ღონისძიებას, რომელიც აღნიშნულია ამა დებულების მე-7 მუხლის პუნ. ააა-დან „თ“-დღე.

11. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლო კვლევა-ძიებას მოახდენს და საკითხს გამოარკვევს როგორც უშუალოდ თავის ცალკე წევრთა, ისევე პროფესიონალური კავშირებისა და მუშათა სხვა ორგანიზაციების ორგანოთა მეშვეობით.

12. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს უფლება აქვს მოსთხოვოს ყველა დაწესებუ-

ლებას და თანამდებობის პირს სასამართლოსთვის საჭირო ცნობები და წარმოუდგინოს გასაცნობად მასალები თუ საბუთები.

13. საბჭოთა ხელისუფლების სათანადო ორგანოები ვალდებული არიან აასრულონ საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

14. საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს მოქმედების საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ეკუთვნის საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მონაწილეობით.

15. ვიდრე გამოიცემოდეს ინსტრუქცია, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პროფესიონალური კავშირთა საბჭო, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, — საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოს საქმეების გარჩევის წესი შეფარდებულ უნდა იქმნეს მუშათა, მოსამსახურეთა და დამკირავებელთა შორის დავის დამწყვეტ საკონფლიქტო დაწესებულებათა დებულებასთან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

### დეკლარაცია

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგებლობის შესახებ.

რათა უფრო რაციონალურად სწარმოებდეს ბორჯომის სახელმწიფო მამულის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი აღგვის:

1. გაერთიანებულ იქნეს ამ მამულში ყველა არსებული წარმოება და გადაეცეს ბორჯომის მამულის გამგებლობის განკარგულებას.

2. გამგებლობის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ჰნიშნავს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ამტკიცებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი.

3. გამგესთან, — იმისივე თავმჯდომარეობით, — მოეწყობა კოლეგია, სადაც ადგილობრივი პროფესიონალური ბიურო და ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი ჰგზავნიან თითო წევრს, რომლებსაც ამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

4. გამგე პასუხისმგებელია კოლეგიის მთელი მოქმედებისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც გამგე არ ეთანხმება კოლეგიის უმრავლესობას რაიმე საკითხში, რომელიც მისი აზრით, არსებითი მნიშვნელობისა,

მას უფლება აქვს შეაჩეროს კოლეგიის დადგენილების განხორციელება და სადაც საჭიროა წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განსახილველად.

6. იმ შემთხვევაში, თუ საქმის გადადება მოუხერხებელია გამგეს უფლება აქვს პირადად გადაწყვიტოს ყოველი საკითხი, რომელიც ნორმალურად კოლეგიის კომპეტენციას შეადგენს, ხოლო ასეთი გადაწყვეტილება უნდა აცნობოს კოლეგიას მახლობელ სხდომაზე.

7. კოლეგია ათის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო ყველა წარძობისათვის და როგორც ასეთი ხელმძღვანელობას უწევს მამულის მუშაობას, გაძოსცეს წესებს თვითეული წარძობის შინაგან გარჩევისათვის, გაანაწილებს და გაიღებს ფულს, მიიღებს და დაითხოვს მუშა-მოსამსახურეთ, — ყველა, ამ საგნის გამო, არსებულ კანონმდებლობათა დაცვით, და, საერთოდ, განიხილავს და გადასწყვეტს ყოველ საკითხს, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მამულთან, როგორც საქმეონეო ერთეულთან.

8. კოლეგია — ძლიანად — და კეთილად გამგე ზედამხედველობას უწევს სხვა უწყებათა (ძიწათ-მოქმედებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების) ორგანოებს, რომელნიც ღირექტივებს ცენტრიდან მიიღებენ და თავის მოქმედებაში ანგარიშვალდებული არიან ცენტრალურ დაწესებულებათა წინაშე, ხოლო ასევე დროს თავისი მოქმედების ანგარიშგაი უნდა წარუდგინოს მამულის გამგებლობას.

9. მამულის გამგებლობას შეუძლიან საკითხი აღძრას სხვა უწყებათა ამა თუ იმ მოსამსახურის გადაყენების შესახებ და იმ შემთხვევაში, უკეთეს უწყება უარპოფს ასეთ შუამდგომლობას, მას შეუძლიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მეშვეობით გადასცეს შუამდგომლობა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტს.

10. მიწად-მოქმედების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები თავის ადგილობრივ აპარატებს ადმინისტრაციულად უმორჩილებენ მამულის გამგებლობას და ათავითარ მის განკარგულებაში ათ ყოველიან უმულოდ.

11. ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი, როგორც ორგანო ხელისუფლებისა, არ ერგვა მამულის გამგებლობის საფეუროეო მოქმედებაში და თავის ძხრით უწევს მას ყოველგვარ დახმარებას საჭირო შემთხვევაში.

12. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუცი.

კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე მ. ტოროშელიძე.

რევოლიუცი. კომიტეტის მდივანი ა. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი — სასახლე.

# ბ რ კ ა ნ ე ბ ა

სამხედრო და საზღვაო, შინაგან საქმეთა და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებისადმი.

თანახმად სამხედრო-საზღვაო კომისარიატში მიღებულ ცნობებისა, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის № 41 დეკრეტი, რომელიც უზრუნველყოფის წითელ არმიელების ოჯახებს, მუშა ხელით თუ სხვა გვარი დახმარებით ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული და არ ატარებენ მას ცხოვრებაში. ამიტომ წითელ არმიელები გარბიან შინ, რომ მამულის დამუშავებით მოსავლის შენახვით და სურსათის მომარაგებით, უზრუნველყონ თავიანთი ოჯახები ზამთრისათვის.

ასეთი მოპყრობა საქმისადმი ადგილობრივ რევკომების და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მხრივ, ე. ი. მათ მიერ დეკრეტის შეუსრულებლობამ, არ შეიძლება რომ არ იქონიოს მავნე გავლენა ჩვენს საერთო საქმეზე—რესპუბლიკის შინაურ შეიარაღებულ ძალთა მოწყობაზე და არ გვაძლევს შეძლებას საბოლოოდ მოუსპოთ მოქმედების საშუალება მავნე ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ ჯარში დეზერტირობის გავრცელებას.

ზემოაღნიშნულის გამო სასტიკათ მიუწერ საქართველოს ყველა რევკომებს და სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებს, რათა დაუყოვნებლივ და სისწორით იქნეს ვატარებული ცხოვრებაში № 41 დეკრეტი და ამით მიეცეს საშუალება წითელ არმიელებს გულ დადებით იმსახურონ ჯარში და არ იჯავრონ თავიანთი ოჯახების უზრუნველყოფაზე.

ის პირნი ან ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ამ ბრძანების სისწორით შეუსრულებლობაში და № 41 დეკრეტის უყურადღებოდ დატოვებაში იქნებიან სასტიკათ დასჯილნი რევტარიბუნალში მიცემით, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის მოღალატენი.

ეს ბრძანება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ხელს აწერენ:

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო

კომისარი **შ. ელიავა.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **კვიციანი.**

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო

კომისარი **ს. თოდრია.**

საქართველოს ჯარების სარდალი, გენერალურ

შტაბისა **ანდრონიკაშვილი.**

სწორება: სამხედრო და საზღვაო კომისარიატის

შტაბის სამობილიზაციო ნაწილის უფროსის

თანაშემწე **ი. ასათიანი.**

1921 წ.

# შინ. საქ. სახ. კომისარიატი

## დადგენილება

შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა ქ. ყულევის (რედუტკალეს) კომუნისტური პარტიის კომიტეტის შუამდგომლობა ქალაქ ყულევის ქალაქ ფოთზე ადმინისტრაციულათ მიწერის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ქალაქ ფოთს სასტიკათ განსაზღვრული ტერიტორია უკავია და იქ არსებულ ხელისუფლების ორგანოს აქვს უფლება გაავრცელოს თავისი მოქმედება მხოლოდ ამ ტერიტორიაზე, ბ) რომ ქალაქის ტერიტორიის გაფართოვება ხდება ჩვეულებრივ მხოლოდ იმ უახლოვეს მიდამოების შემოერთებით, რომელნიც გარს არტყია ქალაქს და ფაქტიურად უკვე ქალაქურ ცხოვრებას ეწევიან, ამ შემთხვევაში კი ფოთისა და ყულევის შუა თორმეტი ვერსის მანძილზე მდებარე ტერიტორიაა, გ) რომ ერთი ქალაქის, რომელსაც სრულიად დამოუკიდებელი ქალაქური წყობილება აქვს, მეორე ქალაქზე ადმინისტრაციულათ მიწერა მიუღებელი დებულებაა, ვინაიდან ორი სხვა და სხვა ქალაქის ერთ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მოთავსება ისე რომ ორთავეს თავთავიანთი დამოუკიდებელი ქალაქური წყობილება დარჩეს—შეუსაბამო წინადადებაა, დ) რომ პარტიული კომიტეტის მოსაზრება, რომ ყულევის ფოთთან დაკავშირებით პარტიული ინტერესები იგებს, სახეში მისაღები არ არის, ვინაიდან პარტიულ ორგანიზაციების ქალაქ ფოთის ამგვარივე ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერა, ამ ორგანიზაციებისა საქმე. ეს მათი და ცენტ. კომიტ. ნებისყოფაზე არის დამოკიდებული და, ყოველ შემთხვევაში, ადამინ. გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებული არ არის, ე) რომ ყულევის მცხოვრებნი და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელნი ზუგდიდში მიმოსვლისათვის სარგებლობენ გზატკეცილებით ორას მიმართულებით-ყულევი-ანაკლია-ზუგდიდი და ყულევი-ხოფიციაში. ორივე გზა დაახლოვებით 54-55 ვესტის სიგრძისაა, სენაკის მაზრის ცენტრთან კი ე. ი. ახ-სენაკთან ყულევი შეერთებულია რკინის გზით, თუ სახეში არ მივიღებთ ყულევი-ფოთის სანაპირო გზატკეცილს 12 ვერსის მანძილზე (ფოთიდან სენაკამდი დაახლოვებით 35 ვერსტია) ეს გარემოება კი შესაძინევად ადვილებს ცენტრთან კავშირის დაჭერას, ხოლო სამაზრო ხელისუფალთათვის დაშორებულ პერიფერიის ხელმძღვანელობას და თვალყურის დევნებას,—მიიღო რა ყველა ეს მოსაზრებანი მხედველობაში, დაადგინა: 1. ქალაქი ყულევი (რედუტკალე) გამოყოფილ იქმნას ზუგდიდის მაზრიდან

და მიწეროს სენაკის მაზრას და 2) ასლი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ზუგდიდის და სენაკის სამაზრო რევიკომებს, რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოს, ამავე მაზრებს მილიციის უფროსებს და შინ. საქ. სახ. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

ადმინისტრ. ერთეულების განყოფილების გამგე გ. გველესიანი.

### დადგენილება

შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა სენაკის მაზრის კინჩხა-გორდის თემთა მოსახლეობის შუამდგომლობა ხსენებულ მაზრიდან გამოყოფისა და ქუთაისის მაზრაზე მიწერის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ დასახლებული თემები გეოგრაფულად უფრო ქუთაისის მაზრას ეხმარება, ვიდრე სენაკისას, ბ) რომ ქუთაისის მაზრასთან ეს თემები შეერთებულია კარგი გზა-ტყევილებით, რომელთა სიგრძე დაახლოებით 25 ვერსტს უდრის (ერთი გზა გორდიდან ხონამდი, მეორე გზა—გიშტის საზოგადოებით ქუთაისამდე), გ) რომ მანძილი კინჩხა გორდიდან მის ეხლანდელ სამაზრო ცენტრამდი ე. ი. სენაკამდი გაცილებით მეტია და დაახლოებით 60 ვერსტამდეა, ხოლო თვით გზა სრულიად უვარგისია და სამგზავროთ სახითათო, დ) რომ ხსენებულ თემებს სამიუნიერო-საიკონომიო ურთიერთობა აქვთ ხონთან და ხონით ქუთაისთან, ე) რომ ამ თემთა სიახლოვემ იწვევთთან, ურთიერთშორის ხშირმა მიმოსვლა-კავშირმა იმდენად ზრდავედენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომ მაგრული ენა აქ თიქის სრულიად განიდევნა ხარებიდან და ვ) რომ ზემოთ აღნიშნულ შუამდგომლობას საესებით მარს უქვრს როგორც თვით სენაკის მაზრის რევიკომი ისე ამავე მაზრის თემთა რევიკომების თავჯდომარეთა ა. შ. 9 ნომბრის კონფერენცია, — დაადგინა: 1) კინჩხა-გორდის თემები გამოყოფილ იქნას სენაკის მაზრიდან და მიწერალი ქუთაისის მაზრაზე და 2) ასლი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ქუთაისის მაზრის რევიკომს, რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოს, ქუთაისის და სენაკის მაზრების მილიციის უფროსებს და შინ. საქ. სახ. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

კომს, რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოს, ქუთაისის და სენაკის მაზრების მილიციის უფროსებს და შინ. საქ. სახ. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვიციანი.

ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგე გ. გველესიანი.

### დადგენილება

შინ. საქ. სახ. კომისარიატმა, განიხილა რა საათაქიო-ეწერის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებთა შუამდგომლობა ჯვარის თემიდან ცალკე თემთა გამოყოფის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ საათაქიო-ეწერის მცხოვრებნი, რიცხვით 260 კომლი (გლეხ-კაცობა), სოფ. ჯვარს (თემის ცენტრს) 10—11 ვერსტით არიან დაშორებულნი რის გამო მათ მეტად უძნელდებათ ამ სოფლის საზოგადო კრებებზე მონაწილეობის მიღება და მთავრობის განკარგულებათა და დავალებათა შესრულება; ბ) რომ საათაქიო ეწერი მივარდნილი კუთხეა, სადაც სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას ხშირად აქვს ადგილი; მცხოვრებნი თვით ვერავითარ ზომებს ვერ ღებულობენ დანაშაულობათა შესასუსტებლად, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების აგენტები, სიშორისა გამო, სათანადო მეთვალყურეობას ვერ უწევენ ასეთ მოვლენას და გ) რომ შუამდგომლობას საესებით იზიარებს ზუგდიდის მაზრის რევიკომი, რომელიც შინა მმართველობის ინსტრუქტორის საშუალებით, ადგილობრივ გაეცნო საქის ვითარებას, — დაადგინა: 1) საათაქიო-ეწერის მცხოვრებთა შუამდგომლობა ჯვარის თემიდან ცალკე თემთა გამოყოფის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნას და 2) ასლი დადგენილებისა გაეგზავნოს რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოს, ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსს და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას შინ. საქ. სახ. კომისარიატისა.

მსაქმეთა მართველი ვ. ხახანაშვილი.

ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგე გ. გველესიანი.

## არა-ოფიციალური განყოფილება

### ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილებაში.

(შემდეგი\*)

მაგრამ, როდესაც საუწყებთაშორისო კომისია უფრო დაახლოებით გაეცნო ამ სტატისტიკისა

\*) იხ. „მოამბე“ № 22

კურ მასალას, გადასინჯა თვით დედნები, აღწერის დროს შედგენილნი, გამოჰკითხა კომისიაში მონაწილე ოსთა დელეგატს, იგი რაპდენიმედ დაეჭვდა მასალის სისწორეში და ამიტომ იგი იმ ურყევ საფუძვლათ ვერ მიიღო, რომელზედაც მას შეეძლო აეგო თავისი საბოლოო გადაწყვეტილება. აღმოჩნდა მაგ., ა) რომ მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში ყოველი სოფელი ცალკე იყო ნაჩვენები



და აღწერილი, აი აქ, ამ ექვს სოფლის საზოგადოებათა შესახებ, რომელნიც ოსთა მიერ უდავოთ არის გამოცხადებული და რომელნიც შინ. საქ. სამინისტროსაც თავის პროექტში ჰქონდა შეტანილი, ზოგადათ იყო ნათქვამი შენიშვნის სახით, შემდეგი: ამა და ამ საზოგადოებაში ოსები შეადგენენ ამდენსა და ამდენს სულსა ანუ ამდენსა და ამდენს %<sup>0</sup>-საო; ბ) რომ შორაპნის მაზრაში ოსები თითქმის სრულიად არ იყვნენ აღნიშნულნი, რაიც ოსთა ჩვენებს არ ეთანხმება; გ) რომ სტატისტიკურ აღწერას სამხრეთ-ოსეთის რაიონში აწარმოებდნენ არა ოფიციალური სტატისტიკოსები, არამედ თვით ოსების რწმუნებულნი, რომელთაც სტატისტიკურ ფურცლებში ისეთი ზოგადი ცნობები ოსთა მოსახლეობაზე შეუტანიათ, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ, ან კიდევ, ბევრს ალაგას ოსებათ ჩაუწერიათ სრულიად გაქართველებული მკვიდრნი, რომელთა მხოლოდ შორეული წინაპარნი ყოფილან ოსთა ტომის შთამომავლობისანი და სხ. და სხ.

თვით ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სავსებით დაადსტურა ექვები კომისიისა მას შემდეგ, რაც მან 1919 წლის 2—9 სექტემბერს შემოამწმებელი, სარევიზიო აღწერა მოახდინა. „1917 წლის სასოფ.-სამეურნეო აღწერის ის სტატის. ცნობები, რომელიც ქართლსა და რაჭის ოსთა მოსახლეობას შეეხება, —სწერს ცენტრ. სტატ. კომიტეტის სამმართველო, —დიდს ეჭვებს იწვევს. ასე, მაგ., შემომწმებელმა აღწერამ მეჯვრის ხევის სოფლის საზოგადოებაში დაგვანახვა დიდი განსხვავება იმ ციფრებისა, რომელნიც 1917 წლის აღწერით მივიღეთ, და იმ ციფრებს შორის, რაც სინამდვილეში აღმოჩნდა.

1917 წლის აღწერით მეჯვრისხევის სოფ. საზოგადოებაში ნაჩვენებია:

ქართველები	—5.851	სული
ოსები	—6.737	„
სომხები	— 732	„
სხვა ეროვნების—	12	„

სულ—13.332 სული

1919 წლის 2—9 სექტემბრის სარევიზიო აღწერამ კი მოგვცა შემდეგი ციფრები:

ქართველები	—6.474	სული (მეტია 623 სული)
ოსები	—5.475	„ (ნაკლები 1,262 „ )
სომხები	— 970	„
სხვები	— 23	„

სულ 12.932 სული

ამ სოფლის საზოგადოების მოსახლეობა, სამშობლო ენის მიხედვით რომ ავიღოთ იგი, ნაწილდება ასე:

ქართული ენა	სამ	ლო ენაა	—7.497	სულისათვის
ოსური	„	„	—5.402	„
სხვა ენები	„	„	— 33	„

სულ —12.932

ასეთს მოვლენას, განაგრძობს იგივე სამმართველო ე. ი. ქართველთა მოსახლეობის რაოდენო-

ბის განზრახ შემცირებას და თანაბარ გადაქარბებას ოსთა მოსახლეობისას, აშკარაა აღვნიშნავთ ჰქონდა სხვა რაიონებშიც“.

მოხსენება სტატ. სამმართველოსი ზემო აღნიშნულს ამასაც უმატებს: „ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ამხ. მანდელშტამის სიტყვით, დუშეთის მაზრის რაიონების აღწერა მინდობილი ჰქონდა ნიკოლოზ ჯიოგეს და მასალების დამუშავების დროს აღმოჩნდა, რომ ქართულ სოფელთა მთელი წყება და, ასე გასინჯეთ, მთელი ქართული რაიონებიც კი აღწერაში არ შესულა“.

ეს პატარა მაგალითი ნათლათ გვიჩვენებს, რომ ოსთა მოსახლეობის სტატისტიკას 1917 წლისა შესამჩნევი დეფექტები ახლავს. ჩვენს სათვალავში ყველა ისინიც რომ არ მივიღოთ ქართველებათ, რომელნიც სამშობლო ენათ ქართულს აღიარებენ და მარტო ტომობრივი კალკულაციის ციფრებს გაუწიოთ ანგარიში, მარტო ერთს სოფლის საზოგადოებაში—მეჯვრის ხევისაში—სიყალბე, რევიზიით აღმოჩენილი, უდრის 1262 სულს ანუ 23% ამ საზოგადოების საერთო რიცხვისას. თავისთავად რიცხვი 1262 სტატისტიკურ ანკეტაში თითქო დიდს შეცდომას არ წარმოადგენს, მაგრამ საქმეს თუ უფრო ღრმად ჩაკვირდებით, განსხვავება, უეჭველია, თვალში გვეცმათ. ამა, აიღეთ მაგ. ხუთ მილიონიანი ეთნიური ჯგუფი. აქ 23%-ით განსხვავება მილიონ ასორმოცდაათ ათასს უდრის. ან აიღეთ ისეთი პატარა ეთნიური ჯგუფი, როგორიც ოსობაა საქართველოში, სადაც მათი რიცხვი რამდენიმე ათეულ ათას სულს არ აჭარბებს და სადაც მას მჭიდროთ მხოლოდ რამდენიმე სოფლის საზოგადოება ანუ თემი უკავია ტერიტორიალურათ, —აქ, როდესაც ყოველ ათეულ ათასს გადაშქრელი მნიშვნელობა აქვს, შეცდომა ციფრებში 23%-ით კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება.

აი ამ ნაკლზე არ შეეძლო არ მიექცია სათანათო ყურადღება კომისიას იმ დროს, როდესაც იგი ახალ მაზრის დაწესების საკითხს სწყვეტდა და ამ მაზრის ადმინისტრაციული საზღვრები უნდა გამოეჭრა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც სტატისტიკურ მასალას, რომელიც დაყენებულ საკითხს შეეხებოდა, გაეცნო კომისია და აქედან ერთნაირი დასკვნაც გამოიტანა, ამავე კომისიაში სრულიად ანაზღაურლათ დაისვა საკითხი იმაზე თუ რამდენათ მისაღებია სტრატეგიული თვალსაზრისით პროექტი საკუთრათ ოსთა მოსახლეობისათვის ტერიტორიალურ ერთეულის გამოჭრის.

ამ თვალსაზრისის გასარკვევათ კომისიას დასჭირდა გაეთვალისწინებია გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული მდებარეობა მთელი იმ ტერიტორიისა, რომელიც ოსთა მოსახლეობას საქართველოში თუ საქართველოს გარეშე უკავია.

ადმინისტრაციულ ერთეულს, ახალ ოსურ (ჯავის) მაზრას, თუნდაც იმ სახით და მაშტაბით, რომ

გორითაც იგი განზრახული იყო მენშევიკების მთავრობის დროს, უკავია საქართველოს შუაგული და სქირის მას აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებათ. თავისი აღმოსავლეთი საზღვრით ახალი მაზრა უმეფეოთ უახლოვდება თერგისა და არაგვის ხეობას და ა. გაყინილს, ჩვენი რესპუბლიკისათვის ბევრნაირათ მხიშვნელოვან ე. წ. საქართველოს-სამხედრო გზას, რომელიც აერთებს ჩვენს დედაქალაქს და საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრს ჩრდილო კავკასიასთან და, ამ უკანასკნელის საშუალებით, რუსეთთანაც. სამხრეთით ეს მაზრა ათიოცი ვერსტითა და დაშორებული რესპუბლიკის მთავარ სასაოცოცლო არტერიას—ტფილის-ბათუმის რკინის გზას. ჩრდილოეთით განზრახული მაზრა ესაზღვრება სამხრეთ-ოსეთის ჩრდილო ნაწილს ე. წ. დვალეთს და, ამ უკანასკნელის საშუალებით, კავკასიონის მთავარ მავარებელის არაღონის კარის გზით—თვით ჩრდილო ოსეთს. დვალეთი\*) კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველ-მხრივ მარად თოვლიან მთებით არის გარს შემოზღუდული ისე, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი ე. ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთს ალაგს გარ და სრულიად გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი განაპირა ქვეყანა იყო. ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ მას განსაკუთრებული ყურადღება მე-XII საუკუნიდან მიექცია და პოლიტიკურათაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკიდა. შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლიერების დროსაც, მე-XVIII-ე საუკ. დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო.

თვით დვალეთის საზღვრები, რუსული ნომენკლატურა რა მივიღოთ, ასეთია: ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (= ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (= ქართულ ახორტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მწვერვლიდან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის საზღვარი იწყება ამ ადგილიდან და ქედ-ქედ მიდის: საუ-ხოხზე, ხალსწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ რაქზე არხონამდის,

დვალეთი ძველათაც და ეხლაც რამდენიმე ხეობათ იყოფებოდა: კასრის ხევით, ზრამავათ, ელელოთ, ნარათ, ზროგოთ და ზახათ (ვახუშტის გეოგრაფია, 428). კასრის ხეობაში იქ, სადაც ხეობა იგი «მოვიწროვდების» გაკეთებული ყოფილა «კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნილი, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა». ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს მეფეთაგან ქმნილი ყოფილა იმ მიზნით, რომ «არა ვიდოდენ თვინიერ მათსა ოვსნი». ამ გვარად

\*) იხ. ივ. ჯავახიშვილის «საქართ. საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული» გვ. 6-9.

ბუნებრივითაც და ხელოვნურითაც „არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი“ (იქვე 444)

ამ ჟამად ამ კუთხეს არღონის მხრე მარცხენა ქება-ხეობა ეწოდება. ეს არღონის მხრე მარცხენა მელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთათერთი ზემაღლიშნული ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს, მე-XIX საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა (Филлиппов — Военный обзор Тиф. губ., გვ. 7-8).

მისი სიგრძე 497 ოახკუთხ ვერს არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არღონის ქება ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

იმ 11 გარდმოსავალთა შორის, რომელნიც საქართველოსა და დვალეთს შორის არსებობს, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამს უღელტეხილს—მამისონისას, რომელიც აერთებს დვალეთს დასავლეთ საქართველოსთან რიონის ხეობას საშუალებით; რაქისას, რომელიც აერთებს დვალეთს ლიახვის ხეობასთან (ქართლი) და თრუსოსას, რომელიც აერთებს იმავე დვალეთს თერგისა და არაგვის ხეობასთან (საქართველოს სამხედრო გზა).

(შემდეგი იქნება)

### ზინის საკითხი თბილისში

მიმდინარე წლის მაისში საბინაო განყოფილებამ მოახდინა თბილისში საბინაო ანკეტა. მიუხედავად იმისა, რომ ამ აღწერას ბევრი ტექნიკური ნაკლი ჰქონდა, მაინც ბევრი საყურადღებო ცნობები იქნა შეკრებილი. საბინაო განყოფილების მასალა გვაძლევს შემდეგ ცნობებს:

1. კერძო ბინებში მცხოვრებთა დანაწილება უბნებისა, სქესისა და წლოვანობის მიხედვით.
2. მცხოვრებთა დანაწილება პროფესიის მიხედვით.
3. ბინებისა და ოთახების რაოდენობა და ხარისხი.

#### 1. მცხოვრებთა რაოდენობა.

უბანი	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
1 . . . . .	11140	12650	24090
2 . . . . .	11200	12048	23248
3 . . . . .	10173	10905	21078
4 . . . . .	11302	11496	22798
5 . . . . .	8352	6842	15201
6 . . . . .	5617	5489	11106
7 . . . . .	14173	13916	28039
8 . . . . .	10503	10260	20760
9 . . . . .	6955	7530	14485
10 . . . . .	14045	15098	29143



11 . . . . .	6572	6483	13055
12 . . . . .	6625	6440	13065
13 . . . . .	1113	967	2085
სულ თბილისში .	113075	120131	238206

ამ რიცხვში არ შედიან ჯარისკაცები და ლტოლვილები. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეს რიცხვი კეძო ბინებში მცხოვრებთა შესახებ სწორია, ვინაიდან როგორც სამისამართო მაგიდა, აგრეთვე უკანასკნელი წლების სხვა და სხვა ხასიათის აღწერს თბილისის მცხოვრებთა გვაძლევს დაახლოვებით ასეთივე სურათს.

შეკრებილი ცნობების მიხედვით 1921 წელს ათას მამაკაცზე მოდის 1,017 დედაკაცი.

ამ ცნობებს თუ შევადარებთ ევროპის ქალაქების ცნობებს, პროპორცია დაახლოვებით თანაბარია.

საზოგადოდ სტატისტიკა ამტკიცებს, რომ დაბალ კულტურულ დონეზე მყოფ მხარეში მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს დედაკაცთა რიცხვს, მაგალ., ავსტრალიაში, აზიაში, აფრიკაში მამაკაცები იმ ქვეყნებში არ არიან ჩამბულნი მძიმე გონებრივ-ფიზიკურ შრომაში, ამიტომ სიკვდილის შემთხვევები მათში ნაკლებია. არის კიდევ მეორე მიზეზი, რომლითაც აიხსნება მამაკაცთა რიცხვის გადაჭარბება. ეს არის ემიგრაცია. თუ ჩრდილო ამერიკაში, კულტურულათ მაღალ ქვეყანაში, მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს, ეს აიხსნება სწორეთ იმით, რომ ჩრდილო ამერიკას ბევრი მუშა ხელი აწყდება. თბილისში მამაკაცთა რაოდენობის სიმცირე აიხსნება მამაკაცთა მძიმე გონებრივ-ფიზიკური მუშაობით, შედარებით სხვა ქვეყნებთან. ეს შრომა აღრე ასალმებს სიცოცხლეს მამაკაცთ, მაგრამ მეორე ნხრით ეს ცნობები იძლევიან უტყუარ სურათს თბილისის კულტურულათ გაჯანსაღების შესახებ. ამას აშკარათ ამტკიცებს უკანასკნელი სტატისტიკა:

**თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა:**

წლები	მამაკაცი	დედაკაცი	ორივე სქესისა	1000 მამაკაცზე მოდის დედაკაცი
1864	33433	26552	60085	797
1876	53791	37877	91668	704
1897	81814	64350	146164	787
1910	167978	130299	305207	817
1914	188740	155210	343950	822
1917	19997	126913	246910	1058
1921	113075	120131	238206	1017

ამ შედარებიდან სჩანს, რომ 1917 წლამდე თბილისი თან და თან უსწორდებოდა ევროპის ქალაქების მამაკაც-დედაკაცთა შორის რიცხვთა და მოკიდულლების მხრით და შორდებოდა ამ მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნებს, ხოლო 1917 წლიდან თბილისში მამაკაც-დედაკაცთა შორის ისეთი რიცხვობრივი დამოკიდულება მყარდება, როგორც ევროპაშია.

**წლოვანების მიხედვით თბილისის მცხოვრებთა რიცხვი და ნაწილდებიან ამნაირად:**

წლოვანება	მამაკაცი	დედაკაცი	სულ
0—1 წლ.	3002	2764	5766
1—3 " "	4493	3962	8455
3—7 " "	8522	7312	15835
7—16 " "	22678	22719	45397
16—56 " "	70725	—	70725
16—50 " " (დედ.)	—	68145	68146
50 წლ. და მეტი (დედ.)	—	15208	15208
56 " და მეტი (მამ.)	8674	—	8674
სულ . . . . .	118075	120131	238206

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სამუშაო ასაკის დასაწყისათ ჩვენში ითვლება 16 წელი (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასაკი 10 წლიდანაც იწყება), მივიღებთ შემდეგ სურათს:

მოზარდი თაობა 16 წლამდე ყოფილა თბილისში . . . . .	75453 (31,5%)
სამუშაო ასაკის მამაკაცი 16—56 წლამდე . . . . .	70725 (29,8%)
" " დედაკაცი 16—50 " . . . . .	68146 (28,7%)
" " ორივე სქესისა . . . . .	138871 (58,5%)

შრომის უნარს მოკლებულნი, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ უზრუნველყოფას, ყოფილან:

მამაკაცები 56 წელზე მეტისა .	8674 (3,6%)
დედაკაცები 56 " " .	15208 (6,4%)
სულ . . . . .	23882 (10% <sup>1</sup> )

ეს ცნობები სრულიათ შეფარდებული და შეთანხმებულია ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების ცნობებთან წლოვანებათა შესახებ.

**დანაწილება შრომის მიხედვით:**

საინტერესო სურათს იძლევა თბილისის მცხოვრებთა დანაწილება შრომის მიხედვით: მუშა მოსამსახურენი საბჭოთა . . . . .	26103
63607 (26,7%)	
კერძო დაწესებ. . . . .	27593
ღიასახლისები . . . . .	34343 (14,30%)
მოსწავლენი . . . . .	29615 (12,44%)
თავისუფალი პროფესია . . . . .	8003 (3,36%)
ვაჭრები და მრეწველები . . . . .	11428 (4,80%)
უმუშევარი . . . . .	27018 (10,94%)
უსაქმო ელემენტი და გამოურყვეველი ელემენტი . . . . .	35098 (14,73%)
ბავშვები 0—7 წლამდე . . . . .	30056 (12,63%)

სულ . . . . . 238206 (100%)

ამ ცნობებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ თავის შრომას ჰყიდის მცხოვრებთა მხოლოდ 28,70% დანარჩენი 73,30% (ცხოვრობს პირველთა ხარჯზე. თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა მოსამსახურეებს, მაშინ შემოსავლიან პროფესიაში დაგვრჩება ძალიან ცოტა მცხოვრებლები.

ზავშეებისა, მოსწავლეთა, დიასახლისთა, ვაჭარ-მრეწველთა, თასუფალი პროფესია და უმუშევართა გამოკლებით მარტო უსაქმო ელემენტი შეადგენს ამ ჯგუფში 14,73%.

თუ შევადარებთ უცხო ქვეყნების სტატისტიკას, ამ მხრით დიდ განსხვავებას დავინახავთ.

მაგალითად, 1890 წლის აღწერის მიხედვით შეერთებულ შტატებში შემოსავლიან პროფესიაში ირიცხებოდა 36,3%. 1880 წელს კი შემოსავლიან პროფესიაში ირიცხებოდა ამერიკაში 34,7%.

ინგლისში 1891 წლის აღწერის მიხედვით შემოსავლიან პროფესიაში ითვლებოდა 45% მცხოვრებთა, გერმანიაში 1895 წელს 40%.

გერმანიაში დამოკიდებულთა რიცხვი უდრიდა 53%, უსაქმოთა რიცხვი 4%. ჩვენში კი დამოკიდებულთა რიცხვი, ე. ი. ისეთ პირთა, რომლებიც სხვის შრომას აკრძალა დამოკიდებულნი, სჭარბობს 73%-ს. ეს ძალიან დიდი ციფრია.

და ამ დამოკიდებულთა რიცხვში მოსახლეობა 0—16 წლამდე შეადგენს 75,452 (31,70%), 50 წელზე მეტი ხნის 23882 (10%). სულ რიცხვი ისეთ ელემენტთა, რომელთა შენახვა ევალეზა საზოგადოებას, შეადგენს 33,70%.

**II. ბინის საკითხი.**

უმთავრესი დანიშნულება მაისის ანკეტისა იყო ბინის საკითხის გამოკვლევა თბილისში. ეს საკითხი ამ უკანასკნელ ხანებში მეტად გამწვავდა და მისი გადაჭრა თხოულობდა გამოკვლევას მოსახლეობის სიმკვრივის შესახებ და აგრედვე ამ ბინების დახასიათებას.

დავიწყეთ სახლებისა და ბინების დახასიათებიდან. სულ თბილისში ანკეტა შეუკრებიან 9678 სახლის შესახებ. ამათში კანალიზაცია არის გაყვანილი 7113 სახლში (73,4%), უკანალიზაცია კი 2565 სახლი (26,6%). უმთავრესად უკანალიზაცია სახლების რიცხვი, ჩვეულებრივად სჭარბობს განაპირა უბნებში, მაგ., 1,2 და 3 უბნებში კანალიზაცია აქვს სახლების 89,3%, მე-II და 13 უბნებში კი კანალიზაცია აქვს მხოლოდ 15%.

**ბინების რაოდენობა.**

ენლა გადავავლოთ თვალი ბინებს და მათ უზრუნველ-ყოფას წყალსადენით, რაც შეადგენს უმთავრეს ჰიგიენურ მოთხოვნებს ბინებისათვის.

№	საცხოვრებ. ბინების რაოდენობა	ა მ ა თ შ რ ი ს			
		წყალსადენით		უწყალსადენით	
		აბსოლ. რიცხვი	%	აბსოლ. რიცხვი	%
1.	5747	4048	70,10	1699	29,60
2.	6101	3889	53,74	2212	36,26
3.	6472	3660	55,53	2812	43,47
4.	5449	3921	71,90	1428	28,10
5.	4273	1807	42,30	2466	57,70
6.	3129	850	27,23	2277	72,77
7.	5838	954	10,33	4884	83,65
8.	5587	2707	47,74	2880	52,26
9.	3420	2529	73,65	891	26,35
10.	7428	2567	34,37	1161	15,63
11.	4088	1813	44,35	2275	55,65
12.	3876	2289	59,05	1587	40,95
13.	513	152	29,80	461	75,20

სულ | 62021 | 34888 | 56,25 | 27123 | 43,75

ზემოთ მოყვანილ ცხრილიდან ჩვენ დავინახეთ რომ თბილისში წყალსადენი ქონია ბინების მხოლოდ 56,25%. დანარჩენი ბინები (43,75%) უწყალსადენო ყოფილა და ამ ბინების მცხოვრებლები სარგებლობენ წყლით მხოლოდ ქუჩის ონკანებიდან.

დიდი პროცენტი უწყალსადენო ბინებისა ჩვეულებრივად არის განაპირა უბნებში მაგალ., წყალსადენი არ აქვს მე-5 უბანში 56,70%, მე-6 უბ. 72,77%, მე-7 უბ. 83,65%, მე-8 უბ. 52,25%, მე-II უბ. 55,35% და მე-13 75,20%.

**საცხოვრებელი ოთახები.**

თუ რა მდგომარეობაში არიან მცხოვრებნი ოთახების, განათების მხრით ამას გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი:

№	საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა	ა მ ა თ შ ო რ ი ს			
		ელექტრონით		უელექტრონით	
		აბსოლ. რიცხვი	%	აბსოლ. რიცხვი	%
1.	13870	5361	38,7	8509	62,3
2.	14280	6879	48,0	7401	52,0
3.	15181	8286	54,6	6895	45,4
4.	10543	3705	35,1	6838	64,9
5.	6314	1213	19,2	5101	80,8
6.	4732	1412	29,8	3320	70,2
7.	12697	1579	12,4	11118	87,6
8.	9322	1480	15,9	7842	84,1
9.	14000	5378	38,4	8622	62,6
10.	16386	8952	54,6	7434	45,4
11.	9668	1279	13,2	8389	86,8
12.	7802	1574	20,2	6228	79,9
13.	880	206	23,4	674	76,6

სულ | 133675 | 46304 | 34,6 | 87371 | 65,4



აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისში ელექტრონი ყოფილა გაყვანილი ოთახების მხოლოდ 34,6%-ში. უმთავრესად უზრუნველყოფილია ელექტრონით მე-3 უბანი.

ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია ელექტრონის მხრით მე-9, მე-11, მე-12 და მე-13 უბანი.

ვნახოთ ეხლა თუ რა მდგომარეობაშია ოთახები სიმკვრივის მხრივ და შევადაროთ ამ წლის ცნობები 1917 წლის ცნობებს.

უბანი	თითო ოთახზე მოდის	
	საბინაო ანკეტის მიხედვით 1921 წ.	1921 წლის აღწერის მიხედვით
1.	1,7 სული	1,0 სული
2.	1,62 ,,	1,55 ,,
3.	1,59 ,,	1,50 ,,
4.	2,16 ,,	1,76 ,,
5.	2,40 ,,	2,78 ,,
6.	2,37 ,,	2,84 ,,
7.	2,21 ,,	2,26 ,,
8.	2,22 ,,	2,33 ,,
9.	1,63 ,,	1,30 ,,
10.	1,77 ,,	1,56 ,,
11.	1,35 ,,	2,57 ,,
12.	1,69 ,,	2,06 ,,
13.	3,32 ,,	იმ დროს მე-13 უბანი არ არსებობდა
საერთოდ	1,78 სული	1,96 სული

აქედან ჩვენ დავინახეთ, რომ საშუალოდ თითო ოთახზე მოდის თბილისში ამ ეამათ 1,78 სული. 1917 წელს კი მოდიოდა 1,96 სული, ე. ი. ცოტა მეტი, ვიდრე ეხლა. უმთავრესად სივიწროვე ყოფილა, როგორც 1917 წ., ისე ამ წელსაც მე-4, 5, 6, 7, 8, და მე-13 უბნებში. მუშათა რაიონში, მე-II უბანში 1917 წელს ერთ ოთახზე მოდიოდა 2,57 სული. 1921 წელს კი მოდის 1,35 სული.

საინტერესოა გავიგოთ თუ რამდენი ოთახი მოდიოდა თითო ბინაზე საშუალოდ 1917 წელს და 1921 წელს.

**თითო ბინაზე მოდიოდა ოთახების შემდეგი რაოდენობა:**

უბანი	1921 წ.	1917 წ.
1.	2,4	2,7
2.	3,3	2,8
3.	2,1	3,5
4.	1,9	2,5
5.	1,5	1,6
6.	1,5	1,6
7.	2,1	1,9

უბანი	1921 წ.	1917 წ.
8.	1,6	1,8
9.	4,1	2,6
10.	2,2	2,9
11.	2,3	1,6
12.	2,1	2,2
13.	1,4	-

საერთოდ 2,1 2,4

ზემოთ მოყვანილმა ცხრილმა გვაჩვენა, რომ 1917 წელს თითო ბინაზე საშუალოდ მოდიოდა 2,4 ოთახი 1921 წელს კი-2,1 ოთახი. ამნაირად ამ რამდენიმე წელიწადში მომხდარა ბინების გამრავლება და ოთახების რიცხვის შემცირება ბინებში, თუმცაღა, ეს ცვლილება სიმკვრივის მხრით ძალიან უმნიშვნელოა. შესაძინევით დაპატარავებულა ბინები ოთახების რაოდენობის მხრით მე-3 და მე-4 უბნებში, სამაგიეროდ ოთახების რაოდენობის მხრით გადიდებულა ბინები მე-7, მე-9 და II უბნებში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ უბნებიდან, ალბათ მეტათ დიდი ყოფილა ლტოლვა ცენტრისაკენ, რის გამო ტერიტორიალურათ ბინები პირველ უბნებში შემცირებულა, ხოლო უკანასკნელ უბნებში გაფართოვებულა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ, 1917 წლიდან 1921 წლამდე თვალსაჩინო ცვლილებანი არ მომხდარა არც მცხოვრებთა რაოდენობაში და არც ბინების სიმკვრივის მხრით.

ასეთია საერთოდ შთაბეჭდილება უკანასკნელი ანკეტიდან.

ყველა ეს ცხადყოფს ჩვენთვის, რომ ქალაქის მეურნეობა დღევანდელ პირობებში ვერ დარჩება.

თბილისის მცხოვრებთა რაოდენობა თანდათან იზრდება. თუ დღეს ასეთ სივიწროვეს განიცდიან მცხოვრებნი ბინის მხრით, რამდენიმე წლებში მდგომარეობა აუტანელი და კატასტროფიული შეიქნება.

სახლების შენება და რემონტი თითქმის შეჩერებულია. ეს კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას.

საქიროა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ სახლის პატრონები დაინტერესდნ თავიანთ სახლებით და შეუდგენ მათ შეკეთებას.

უნდა მოეწყოს ისე, რომ ცარიელი მიწები უსარგებლოთ არ იყოს და აქ აშენდეს შენობები. ამაზე უნდა იზრუნოს ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ.

საქიროა მიექცეს სათანადო ყურადღება აგრეთვე ქალაქის განაპირა უბნების განათებას და წყალსადენს.

თუ ცენზიანი საბჭოები წინეთ ქალაქის განაპირა ნაწილებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნ, დღეს, როცა პოლიტიკური წესწყობილება ძირიანათ შეცვლილია, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა უბნებს.

# მოხსენება

## შ. ს. ს. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებისა

(მაზრის და ქალაქების რევკომებთან არსებული საინსტ. საინფორმ. ქვეგანყოფილებათა ყრილობაზე წაკითხული ა. წ. სექტემბერს).

ამხანაგებო, პირველად ყოვლისა მოგესალმებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით და ფუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევკომების საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების გამგეთა პირველ ყრილობას, რომლის ერთადერთ მიზნათ, სახალხო კომისარიატი, როდესაც მისი მოწვევა გადასწყვიტა, ისახავდა ცენტრისა და ადგილობრივ ორგანოთა დაახლოვებას და ურთიერთის უკეთ გაცნობას, რომ ამ გზით ძირშივე მოისპოს ის გაუგებრობა, რომელიც ბევრ ადგილობრივ რევკომში ემჩნეოდა თავიდანვე ცენტრის მიზნებისა და განკარგულებების მიმართ.

აი ამ განზრახულ დაახლოვების უკეთ განსახორციელებლად და აღნიშნულ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ აუცილებელია გავითვალისწინოთ საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების დანიშნულება ადგილობრივ მართველობის საერთო სისტემაში, შემდეგ განვიხილოთ მისი განვლილი მუშაობა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ და ბოლოს შევეცადოთ შევიმუშაოთ გეგმა მომავალი მუშაობისა საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ დასახულ საერთო მართველობის პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად.

თქვენ კარგათ უწყით, ამხანაგებო, თუ როგორი გზით დამყარდა საქართველოში საბჭოთა ძალაუფლება. მოკლეთ მოგახსენებთ, რომ საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარებას, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსება ჰქონდა. სახეში მაქვს საბჭოთა ძალაუფლების ჯერ თბილისში საქართველოს ცენტრში დამყარება და შემდეგ მის დიდ უმეტეს პროვინციებში. ამ გზას ის ღირსება ჰქონდა რომ საერთო პროცესის დამთავრების შემდეგ, რომელიც დაახლოვებით 20 მარტს დასრულდა, ცენტრში თბილისში, ასე თუ ისე, უკვე მოწყობილი იყო ცენტრალური უწყებები და როგორც კი შესაძლო გახდა პროვინციებთან კავშირის გამართვა, პროვინციულ ამხანაგებს და ადგილობრივ აღმოცენებულ რევკომებს საშუალება ჰქონდათ ცენტრიდან გამოეთხოვათ სახელმძღვანელო ღირებულებები და ემოქმედათ თანახმად ცენტრის-მიერ დასახულ მიზნებისა, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ შეუძლებელია სახელმწიფოში დაშვებულ იქნას პროვინციულ ორგანოთა განკარგობებული მოქმედება; პროვინციის ორგანოთა მუშაობა უაღრესად შეფარებული უნდა იყოს

ცენტრის მიზნებთან და კიდევ მეტი, იგი თვისი შეხედულებით არავითარ დიდ და სეპარატისტულ მოქმედებას არ უნდა სწყვიტდეს, არამედ უნდა უწყობდეს და სისწორით ანხორციელებდეს ცენტრის სათანადო დეკრეტებსა და განარგულებებს. აი ამ ერთადერთ სწორ სახელმწიფოებრივ გზისათვის ფრიალდიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენ-მიერ აღნიშნულ გარემოებას—საბჭოთა ძალაუფლების ჯერ ცენტრში დამყარებას და გთხოვთ შემდეგისათვის დაინსომოთ იგი, ვინაიდან მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც განვლილი საერთო მუშაობის განხილვა-განმარტებისათვის, ისე მომავალი მუშაობის გეგმის დასახვისათვის.

აღნიშნულ საერთო გზას საბჭოთა სახელმწიფოებრივ ორგანოების მოწყობისას არ ასცდენია, არც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომლის სხვა და სხვა განყოფილებათა შორის ერთ, უპირველესად მოეწყო საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება. როგორც თვით სახელწოდება განყოფილ. ვიჩვენებს შინ. საქ. სახ. კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას ორი უმთავრესი დანიშნულება აქვს: ერთი, ინსტრუქტორობის გაწევა, ე. ი. ხელმძღვანელობა ადგილობრივ ორგანოების მოწყობისა, საიდანაც გამომდინარეობს, არა ნაკლებ სერიოზული მოვალეობა, მისი ხელმძღვანელობით მოწყობილ ადგილობრივ ორგანოების მოქმედების უახლოესი მეთვალყურეობა, რომ ისინი არ ასცდნენ კანონიერ გზას და ყოველივე მათი მოქმედება ცენტრის მიერ დასახულ მიზნებისა და საბჭოთა მთავრობის დეკრეტების ფარგლებში მიმდინარეობდეს. მეორე მისი დანიშნულება საინფორმაციო მუშაობა-უახლოესად დაკავშირებულია მეთვალყურეობასთან, ვინაიდან განყოფილება ვალდებულია თავ-თავის დროს მიაწოდოს ადგილობრივ ორგანოებს დეკრეტები, განკარგულებები, ცირკულიარები და სხვ. და მეორე მხრით თვით მოკრიბოს საინფორმაციო მასალა ადგილობრივ ორგანოებისაგან, რომ ყოველთვის შეეძლოს ადგილობრივ მდგომარეობისათვის ანგარიშის გაწევა და მასვე შეუფარდოს თვისი მუშაობა. ამგვარივეა დანიშნულება სამაზრო რევკომების საინსტრუქციო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებისა, ოღონდ მცირე მასშტაბით-მხოლოდ განსაზღვრული მაზრის ფარგლებში-სარაიონო და სათემო რევკომების მიმართ. მათაც ევალებათ საინსტრუქციო მუშაობის წარმოება და მეთვალყურეობა სარაიონო და სათემო რევკომების მოქმედებისადმი, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში ადგენენ კანონიერ გზას და მათივე ვალია თავ-თავის დროზე მიაწოდოს მცირე ერთეულებს ცენტრის მასალები, ცენტრის ცნობები ადგილობრივად შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

საინსტრუქტორო - საინფორმაციო განყოფილება-ქვეგანყოფილებების დანიშნულების განხილვის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეგანყოფილება მაზრის ცხოვრებაში. ერთგვარ ხელმძ-

ღვანელ ცენტრის როლს ასრულებს, ვინაიდან მას მოსდის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ყოველივე დეკრეტი, ცირკულიარი და განკარგულება ცენტრისა და შემდეგ იგი აწვდის მას რევკომის სათანადო ქვეგანყოფილებას, მცირე ერთეულებს და აქვეყნებს საყოველთაო საცნობათ და ასასრულებლად.

თავის თავად ცხადია, თუ საინსტრუქციო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებაში არ იქმნა საქმე ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული და მისი წყალობით შეფერხდა დეკრეტების და განკარგულებების დროით გამოქვეყნება და შესრულება, აგრეთვე ცენტრისთვის ადგილობრივე ცნობების მიწოდება, რომ ცენტრმაც თვისი დირექტივები და სახელმძღვანელო დებულებები შეუთანხმოს ადგილობრივ დაკვირვებას, დამეთანხმებით, რომ ასეთ შემთხვევაში, გარდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობის სრული დაძაბუნებისა, საგრძნობლად შეფერხდება თვით საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობა.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებათა დანიშნულების საერთო განხილვის შემდეგ საჭიროა ცალ-ცალკე შევხებით თუ როგორ სრულდებოდა ყოველივე ზემოაღნიშნულ ცენტრისა და სამაზრო რევკომების განყოფილებებში. ამ გზით გავეცნობით თუ რა საფუძველზე მიმდინარეობდა აღმშენებლობითი მუშაობა უახლოეს წარსულში და რისი შეცვლა ან დამატება მოგვიხდება მომავალში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევდა პროვინციის ორგანოების ჯეროვან ორგანიზაციას, ვინაიდან ორგანიზაციის ხანაში, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, იგი ვალდებულია უახლოესი მეთვალყურეობა და დახმარება გაუწიონ მას. ამისდამიხედვით ჩვენი ინსტრუქტორები და სავანგებო მინდობილობათა მოხელენი სისტემატიურად მოგზაურობდნენ პროვინციაში, სადაც, შეძლებისდაგვარად, უხსნიდნენ ადგილობრივ ხელისუფალთ მართველობის ორგანიზაციას და ხშირად თვით უწყობდნენ მათ საერთო კანცელარიას, ჰყოფდნენ რევკომებს სხვა და სხვა განყოფილებათ, თანახმად ცენტრის მიერ დასახულ გეგმისა. ამავე დროს სისტემატიურადვე ვაწვდიდით სახელმძღვანელო ლიტერატურას, დეკრეტებს და მათ განსამარტებლად საჭირო ცირკულიარებს და ინსტრუქციებს.

ხსენებულმა მუშაობამ განყოფილების აგენტებისა დაგვარწმუნა, რომ ადგილობრივი საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების ხანაში, აღმოცენებული ორგანოები უმეტესად ვერ იყვნენ ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული, რასაც უმთავრესად ორი ხასიათის ნაკლულეგანება ახასიათებდა, ერთი თვით რევკომების არა ჯეროვანი ორგანიზაცია და მეორე, ვადამეტება უფლებებისა და ხშირად ბოროტ-მოქმედება ადგილობრივ ორგანოთა წევრებისა, რა-

იც განყოფილების დაკვირვებით უმთავრესად გამოწვეული იყო: 1. ბევრ ადგილობრივ ორგანოში, ასე ვსთქვათ, კრიმინალური წარსულის მემკვიდრეობის მოკალათებით და 2. გულწრფელი, იდეური პარტიული მუშაკების არა სწორ ნაბიჯებით, რადგანაც, მათ, სამწუხაროდ, ხშირად აკლიათ ინტექტუალური ცოდნა და არ აქვთ შესაფერი გამოცდილება. კომისარიატი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ამ ორ ნაკლს, რადგან ადგილობრივ ხელისუფალთა სათანადო შერჩევას, უეტველია უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროვინციაში საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცებისათვის და გადაყვანებულ იქმნა თანამდებობიდან რამოდენიმე მაზრისა და თემის რევკომები. ვინაიდან თავშივე აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი ხშირად ვერ იყვნენ ჯეროვანად მომზადებულნი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობისათვის, ამიტომ პირველად ყოველისა უმთავრესი ყურადღება მიექცია სამაზრო რევკომებს, რადგანაც ისინი თავის მხრივ სათემო რევკომებს უწევდნენ ხელმძღვანელობას და თავის თავად ცხადია თუ ხელმძღვანელი ორგანო არ იქმნა სათანადო მოწყობილი, ის ვერც შესაფერ ხელმძღვანელობას გასწევს. უმთავრესად სამაზრო რევკომების განახლებას და შერჩევას ექცეოდა ყურადღება ამის დასამტკიცებლად (მაგალითების მოყვანას აქ არ დავიწყებ მხოლოდ მოგახსენებთ, რომ მხოლოდ ქუთაისის და თბილისის მაზრების რევკომების პირად შემადგენლობას არ გამოუწვევია კომისარიატის მხრივ რაიმე ზომების მიღება, ხოლო დანარჩენ ორგანოებს, ყველას თითქმის, დასჭირდა ერთგვარი ადმინისტრაციული ზეგავლენა. მაშასადამე, განყოფილების პირველი შთაბეჭდილება, რომ ცენტრის დაუხმარებლად შემდგარი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ვერ იდგნენ ჯეროვან სიბზლზე, სრული სიპართლევ გამოდგა. ამის და მიხედვით, როდესაც ვსაჭიროებდით სხვა და სხვა თანამდებობათა შესაცვლელად გამოცდილ და მომზადებულ პირებს, უმეტესად სათანადო კანდიდატი არ ჩნდებოდა, რადგან როგორც ზევით იყო აღნიშნული, ხშირად გულწრფელი და იდეური მუშაკებიც ვერ გამოდგნენ სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის სათანადო სტაჟის უქონლობის გამო. მართალია ამ კატეგორიის მოღვაწეთ სრულიად ვერ შევადარებთ პირველი კატეგორიის პირთ, მაგრამ თვით მართველობის აპარატისათვის ესენიც ჯერ-ჯერობით გამოუსადეგარნი არიან და დროებით ისინიც უნდა ჩამოშორდნენ მართველობას ვინაიდან მცხოვრებთა შეხედულებით მართველობის განმტკიცებისათვის დიდ განსხვავებას არ წარმოადგენს უკანონობა და შეუფერებელი მოქმედება. ხელისუფლებისა უცოდინარეობისა თუ ბოროტ-განზრახვისაგან არის ეს წარმომდგარი.

ეს მუშაობა ადგილობრივი და უმთავრესად სამაზრო რევკომების შემადგენლობის განახლებისა და სათანადო შერჩევისა ჯერ არ არის დამთავრე-

ბული, რასაც მხოლოდ შესაფერი კანდიდატების უყოლობა უშლის ხელს და ცენტრის ვალია, როგორმე მოუაროს ამ ვარემოებას. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს განზრახული ჰქონდა ინსტრუქტორების სკოლის მოწყობა, საჭირო მუშაკების მოსამზადებლად და გასაწვრთნელად, მაგრამ ამავე დროს გაიხსნა საერთო პარტიული სკოლა და იმედი უნდა ვიქონიოთ კურს დამთავრებული ახალგაზრდები მცირე, წმინდა პრაქტიკულ გამოცდილების მიღების შემდეგ შეამსუბუქებენ ამ ნაკლს და შეავსებენ ადგილობრივ ორგანოებს სანდო და მომზადებულ მუშაკებით.

სანამ სამაზრო რეგკომების მუშაობის საერთო განხილვას დავასრულებდეთ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს რამოდენიმე ისეთი საკითხის მდგომარეობა, რომელიც საერთო ყურადღებას იპყრობდა, როგორც მცხოვრებთაგან, ისე რეგკომებისაგან და რომელნიც პირდაპირ უნდა ითქვას ძალიან ხშირად იწვევდნენ არსებულ დეკრეტების დარღვევას. ერთ უმთავრეს ასეთ საკითხად უნდა ჩაითვალოს მიწის საკითხი. გასაგებია, რომ ადგილობრივი ორგანოები აღმოცენებისათვის თავისებურად შეუდგნენ ამ საკითხის გადაჭრას. გასაგებია მისთვის, რომ დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების დამყარების დრო, იმავე დროს ხვანათვის და სოფლის მუშაობის დაწყების დროც იყო და ქველასათვის ფრიად დამაფიქრებელი იყო თუ რა საფუძველზე მოეწყობოდა მიწის გარშემო დამოკიდებულება მცხოვრებთა შორის. საქართველოს თავისებური მიწის მფლობელობა, რომელიც უმეტესად (99%-ზე) წვრილ მფლობელობას წარმოადგენს და გარდა ამისა მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულ მიწის რეფორმის შემდეგ დიდ ცვლილებებს აღარ მოითხოვდა მიწის ფაქტიურ მფლობელობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლის და მაზრის რეგკომები მაინც უდიდესი ყურადღებით მოეპყრნენ ამ საკითხის პრაქტიკულად მოგვარებას, რადგან ახალ ძალაუფლებას მიწის მფლობელობისათვის მხოლოდ ერთი პრინციპი სწამდა — მიწით მხოლოდ ის უნდა სარგებლობდეს, ვინც მას დაიმუშავებს. მაგრამ აქაც თავი იჩინა საქართველოს თავისებურობამ და შეუძლებელი გახდა უზარმაზარ რუსეთის ნიადაგზე აღმოცენებულ შაბლონით საქართველოში მიწის საკითხის გადაჭრა. საქმე იმაში გახლავთ, რომ 99% ქალაქის მცხოვრებ ქართველებისა, გნებავთ კვალიფიციური მუშა აიღეთ და გნებავთ ტიპიური ინტელექტუალი, იგი უაღრესად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, რადგან თითქმის ყველა მათგანს აქვს მცირე ნაჭერი, უმეტესად რამდენიმე ქცვისაგან შემდგარი, მიწა. ამას დაერთო ზედმიწევნით გამწვავებული სასურსათო კრიზისი თბილისში და საზოგადოთ ქალაქებში და ცხადი გახდა, რომ ქალაქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა, თუ მას ჩამოერთმევა მიწის მფლობელობა, იძულებული

გახდება სოფელში გადასახლდეს. ამგვარ მდგომარეობაში იყვნენ როგორც ქართველი ინტელექტუალი და მუშაკები, ისე მუშებიც და რაიმე ზედმიწევნით მიწის საკითხი რუსეთის შაბლონით გადაწყვეტილიყო, ეჭვი არ არის დაცალიერდებოდა, როგორც მრავალი ფაბრიკა-სახელოსნოები, ისე საბჭოთა დაწესებულებები გამოცდილ სპეციალისტ მოსამსახურეებიდან, რაც აუნაზღაურებელ ზიანს მოუტანდა საბჭოთა მართველობას საქართველოში. პროვინციის უმეტეს ნაწილებიდან უკვე მოდიოდა ცნობები, რომ ადგილობრივი ორგანოები მართლაც ასე სჭირან საკითხს, რითაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდნენ როგორც საბჭოთა სისტემის მომხრე, ისე ლოიალურათ განწყობილ მცხოვრებთა წრეებში, მაგრამ ამ საკითხს დროზე აულო ალლო ცენტრმა, რომელმაც აბრილშივე გამოსცა მიწის დეკრეტი და მისი განსამარტებელი ცირკულიარები. თქვენ უკვე იცით, რომ ამ დეკრეტმა გვერდი აუხვია დოქტრინას და მიწის საკითხი გადაჭრა ვარემოებათა და საქართველოში შექმნილ ძალთა განწყობილების მიხედვით. ცენტრის დეკრეტი მიწის საკითხზე დროიანად იქმნა გამოცემული და მან თავშივე განუმარტა ადგილობრივ ხელისუფალთ თუ როგორი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო. ამ მაგალითზე აშკარადება ზემოდ აღნიშნულია, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ შეძლება არ აქვთ დიდი საკითხების გადაწყვეტისა. მართალია ხალასი პრინციპით მათი შეხედულობა მიწის საკითხზე სწორე იყო, მაგრამ ძალთა განწყობილება ვერ შეეგუა პრინციპს საქართველოში და საჭირო შეიქმნა ერთგვარი კომპრომისული გადაწყვეტა საკითხისა. ადგილობრივ ორგანოებს არ მოეზოვებოდათ სათანადო მასალა და ფაქტები, ხოლო ცენტრმა რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მიღებულ მასალათ სათანადოდ გადაჭრა მიწის საკითხი. მართალია არც მას შემდეგ შეწყვეტილა საჩივრები მიწის გარშემო, მაგრამ დეკრეტის და ცირკულიარების გამოსვლის შემდეგ ამ საჩივრებს კანონიერების დარღვევის ხასიათი აქვს და იგი ადვილად სწყდება ადმინისტრაციული განკარგულებით.

კიდევ უფრო ნათელ ჰყოფს ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებრივ მართველობის პრინციპს მეორე საკითხი, რომელზედაც მცირე ხნით შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. სახეში გვაქვს წისქვილები. აქაც უფლებრივი მხრით ისეთივე მდგომარეობა შეიქმნა როგორც მიწის გარშემო. წმინდა სოციალისტური შეხედულობით წისქვილებზე კერძო საკუთრება დაუშვებელია, რადგან მისი მთავარი ძალა წყალი (ჩვენ სახეში გვაქვს საქართველოს სოფლები სადაც მხოლოდ პრიმიტიული წისქვილები არსებობს და თითზე ჩამოითვლება ორთქლის და მანქანებით მოწყობილი წისქვილები), არავის საკუთრებას არ შეადგენს. საქართველოს ზოგიერთ პროვინციაშიც ამის და მიხედვით გადაწყდა ეს საკითხი. წისქვილები ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ყველგან [საერთო საკუთრებად გამოც-



ხალდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამო შესაძლებელი ხდებოდა მრავალ წვრილშვილიან ოჯახების სრული დამშვევა, ვინაიდან მათ ასეთ წისქვილების მეტი არაფერი გააჩნდათ. გარდა ამისა ხელისუფლების სამეურნეო აპარატების სათანადო მოწყობლობის გამო ვერც მოვლა გახდა შესაძლებელი და მრავალი წისქვილი სრულიად დაიხურა და ეს-კი გვიქადდა ერთგვარ კრიზისს სასურსათო საკითხში, რადგან მოსალოდნელი იყო ფქვის შეჩერება. წისქვილების საკითხის ამგვარად გადაჭრამაც აუარებელი საჩივრები გამოიწვია, განსაკუთრებით სენაკის მაზრაში, სადაც ძლიერ გამწვავდა ეს საკითხი. ცენტრის-მიერ მისი გადაჭრაც შედარებით ძალიან დაგვიანდა და თუმცა ადგილობრივ ორგანოებს ცენტრის არავითარი განკარგულება არ ჰქონდათ წისქვილების შესახებ ისინი მაინც განაგრძობდნენ მათ ჩამორთმევას და განსაზოვადობრივობას, ე. ი. უკანონო, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას ამ საკითხში გარდამავალ ხანაში შეიძლება ასეთ მოქმედებას იმდენი მნიშვნელობა არ ექნეს, უკეთეს ეს მოქმედება გარემოებათა შესაფერი იქნება, მაგრამ უზერხულობაც იმაში იყო, რომ ცენტრის დაკვირვებით სრულიად საწინააღმდეგო დადგენილების გამოტანა შეიქმნა საქირო, რომელიც გამოიცა 13 ივნისს. 13 ივნისის დადგენილებით სრულიად შეიცვალა წისქვილების შესახებ ადგილობრივ ორგანოების-მიერ აღებული გეზი, რამაც ხელ-ახალი ძირითადი ცვლილება მოითხოვა ცხოვრებაში, წისქვილები კვლავ დაუბრუნდა კერძო საკუთრებას, მხოლოდ იგი დაბეგრულ იქმნა საზოგადოების სასარგებლოდ. აქ აღარ შეჩერდებოდა იმ გარემოებაზე, რომ მრავალმა ადგილობრივმა ორგანომ არც ბეგარის ნორმის მოუკადა ცენტრიდან, ისიც თვისებურად გადასწყვიტა, რომელიც შემდეგ აგრეთვე შეცვლილ იქმნა.— აღნიშნავ მხოლოდ, რომ ადგილობრივ ორგანოების სიჩქარემ აქაც ავნო საბჭოთა ძალა-უფლების პრესტიჟს, რადგან ერთსა და იმავე სერიოზულ საკითხში ოთხი თვის განმავლობაში მთავრობის შეხედულობის სამჯერ შეცვლა დიდს ვერაფერს შემატებს მის ავტორიტეტს და ამ შემთხვევაში დანაშაული მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლების გამოუცდლობას მიეწერება.

ასე ხანგრძლივ მისთვის შევაჩერეთ თქვენი ყურადღება მიწისა და წისქვილების საკითხებზე, რომ ნათელგვეყო ერთი აუცილებლად სასტიკად დასაცავი აზრა: ადგილობრივ ხელისუფალთ უფლება არ აქვთ კანონმდებლობითი ხასიათის განკარგულებების გამოცემისა, მათ არ შეუძლიათ შესცვლონ არსებული, ეკონომიური თუ პოლიტიკური უფლებრივი ნორმები. და ეს არა იმიტომ თითქოს მათ პიროვნულად არ ჰქონდეთ შეგნება და უნარი სწორი აღღოს აღებისა, არამედ იმისათვის რომ უფლებრივი ნორმების, განსაკუთრებით ეკონომიური ხასიათისა, შესამუშავებლად საქიროა ხანგრძლივი დაკვირვება, ყველა კუთხის მოთხოვნილების აწონ-დაწონვა და ასეთი ცნობები-კი მხო-

ლოდ ცენტრში იყრის თავს და საბჭოთა კონსტიტუციითაც ასეთი უფლებაც ცენტრს უნდა აქვს. ვიღებთ საკითხები სწორი ილიუსტრაცია განლაგვთ იმისა, რომ როგორც ერთსა, ისე მეორე შემთხვევაში შესცდა ადგილობრივ ხელისუფალთა უმეტესობა და მომავლისათვის აუცილებლად საქიროა კარგათ შეითვისონ ადგილობრივმა ორგანოებმა, რომ ისინი მხოლოდ ცენტრის განკარგულებათა აღმასრულებელი ორგანოებია და მათი მოვალეობაა სასტიკად დაიცვან ყოველივე დეკრეტი, ცირკულიარი თუ სხვა განკარგულება ცენტრისა. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადგილობრივი ორგანოების შეხედულებით არსებული კანონი თუ დეკრეტი ვერ ეგუება მომენტის მოთხოვნილებას, ასეთ საკითხის წამოჭრისას იგი დასაბუთებულად უნდა ეუწყოს ცენტრს, რომელიც კიდევ ვიმეორებ ერთად-ერთი უფლება-მოსილი ორგანოა მის შესაცვლელად. მით უმეტეს ადგილი დასაცვლია ეს აუცილებელი პირობა საქართველოში, რომ მის შედარებით პატარა ტერიტორიაზე ცენტრის პასუხის მიღება, უკიდურეს შემთხვევაში რამოდენიმე დღის საქმეა და უფლებრივი ეკონომიური ხასიათის კანონების შესაცვლელიც ეს სულ უმნიშვნელო ვადაა. ადგილობრივი ორგანოების თვითნება მოქმედება გასაგები იქმნებოდა, რომ საქართველოს რომელიმე კუთხე მთელი თვეობით იყოს ცენტრს მოწყვეტილი და რაკი ეს არც ყოფილა და არც არის ადგილობრივმა ორგანოებმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღონ ყოველივე სახის უფლების გადაქცევაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრი სასტიკათ შეებრძოლება და ძირიანად აღმოფხვრის ამ სრულიად დაუშვებელ მოვლენას.

თუ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სცილობდა უახლოესი მეთვალყურეობა გაეწია სამაზრო რეგკომებს კანონიერ მოქმედებისათვის არსებული დებულებით, იგივე როლი უნდა შეესრულებინათ სამაზრო რეგკომებს და განსაკუთრებით თქვენ, საინსტრუქტორო საინფორმაციო ქვეგანყოფილებების გამგეებს სარაიონო და სათემო რეგკომებისადმი. აქაც იმგვარივე მუშაობა უნდა სწარმოებდეს, როგორცსაც აწარმოებდა კომისარიატის საინსტრუქტორო საინფორმაციო განყოფილება, იგივე ინსტრუქტორობა რეგკომების მოსაწყობათ, კანცელარიების გასამართავად და სხვ., იგივე შერჩევა პირადი შემადგენლობისა, გამოუსადეგართა და მავნე ხელისუფალთა გადაყენება, საინფორმაციო მასალის დროზე მიწოდება და სხვა.

სამწუხაროდ ყველა მაზრაში ეს მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ იყო დაყენებული. მართალია ამას თავის გასამართლებელი საბუთები მოეპოვება: გვიანი ორგანიზაცია ქვეგანყოფილებებისა, ინსტრუქტორების უყოლობა და სხვა, მაგრამ ფაქტი-ფაქტად რჩება და ჩვენი ვალია ხაზი გავუსვათ სარაიონო და სათემო რეგკომების ნაკლსაც, მოა-

ვყავანოთ თვალსაჩინო მაგალითები მცირე ერთეულების უკანონო და შეუფერებელ მოქმედებისა და შევეცადოთ მომავალში მათს თავიდან ასაცილებლად.  
(შემდეგი იქნება)

### სამაზრო რეკვ. თავმჯდ. ყრილობა

მე-3 სხდომა, 23 ნოემბერს დღით.

თავმჯდომარეობს ამხ. მდივანი.

ყრილობის მიერ მოწონებულ წესრიგის მიხედვით სიტყვა მიეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ბ. კვიციანიას, რომელიც მონსენებს აკეთებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიზნებსა და წარსული მოღვაწეობის შესახებ.

ჩემი მოხსენება, დაიწყო ამხ. კვიციანიამ, შესდგება ორი ნაწილისაგან: პირველი შეეხება საბჭოთა აღმშენებლობის ზოგად პრინციპებს, ხოლო მეორე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარსულ მოღვაწეობას, დღიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა.

საბჭოთა ხელისუფლება საფუძვლად უდევს ორი მთავარი პრინციპი, პირველი პრინციპია პრინციპი სახელმწიფოს კლასიური ორგანიზაციისა, რომლის ძალითაც საბჭოთა სახელმწიფო ორგანოებიდან განდევნილ უნდა იქმნას ყველა არა პროლეტარულ შეხედულებათ გამსჭვალული პირნი; უკანასკნელთა გამოყენება დასაშვებია, როგორც ტენიკური თანამშრომლებისა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელია, რომ ისინი მართავდნენ სახელმწიფო აპარატს. ეს პრინციპი აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლებათვის, რადგანაც იგი უადრესად კლასიურ ნიადაგზე სდგას, და მას არაფერი სწამს კლასთა გარეშე და ზეკლასიურ სახელმწიფო ორგანიზაციების შესაძლებლობისა, რადგანაც ყველა ეს ბურჟუაზიის თვალთმაქცობათ, მშრომელთა თვალის ასახვევად მოგონილათ მიაჩნია; რამდენიც არ უნდა გვარწმუნოს ბურჟუაზიამ, რომ საყოველთაო სარჩენო უფლებით იგი ჰქმნის ზეკლასიურ სახელმწიფო ორგანიზაციებს, ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ საყოველთაო სარჩენო სისტემა, დღევანდელ ისტორიულ პირობებში, არ უზრუნველყოფს პროლეტარიატის უმეტესობას სახელმწიფო ორგანოებში. ამიტომ ჩვენ სხვაგვარად ვმსჯელობთ, თუ ძალაუფლება სახელმწიფოში მუშებსა და გლეხებს ეკუთვნის, საჭირო აღარ არის საყოველთაო სარჩენო სისტემა და არც არა პროლეტარულ თვალსაზრისის მატარებელ პირთა სახელმწიფო ორგანოებში ყოფნა, როგორც მართველი წრეებისა.

მეორე მთავარი პრინციპი საბჭოთა აღმშენებლობისა—განაგრძო ამხ. კვიციანიამ არის პრინ-

ციპი დემოკრატიული ცენტრალიზმისა. ხელისუფლების ცენტრალიზაცია აუცილებელია და შეეხებოდა ყოველი მაზრის ახ რაიონის უფროსებისა. ლი მოქმედება კანონდებლობის სფეროში და ცენტრის განკარგულებათა აუსრულებლობის მხრივ. ამასთანავე მომხსენებელმა ნაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად ებრძვის ცენტრალიზმის ბიუროკრატიზმად გადაქცევას. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალება არის მშრომელთა ფართო წრეების გამოყენება მართველობის აპარატებში. სამუშაოდ, მათში ინციპტივის და შემოქმედებითი ძალების გაღვივება; და რომ მართლა გატარებულიყო დემოკრატიული ცენტრალიზმი საბჭოთა აღმშენებლობაში საბჭოთა მთავრობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, სახელმწიფო ორგანოებს ჰქმნიდა პირველ საფეხურებიდნ, რომელთაც უფლება აქვთ პრინციპიალური საკითხების გადასაწყვეტად პირდაპირ მიმართონ უმაღლეს ორგანოებს რესპუბლიკისას (რაიცი უნდა ეცნობოს უახლოეს ორგანოებს). როდესაც რუსეთის საბჭოთა მე-8 ყრილობა მართველობის აღნიშნულ წესებს იმუშავებდა, მანვე ამანაგების საყურადღებოთ მოწოდება გამოცა, რომ ბოროტად არ გამოეყენებიათ ეს უფლება და მეორე მნიშვნელობის საკითხებით არ წაერთმიათ დრო რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებისათვის.

გარდა ამ ორი მთავარი პრინციპისა მომხსენებელმა ყრილობის ყურადღება მიიქცია საბჭოთა ხელისუფლების განმასხვავებელგარემოებასაც: საბჭოთა მართველობის ორგანოების სიმართლეს და მათ ორმაგ პასუხისმგებლობას. დაწყებული დაბალ საფეხურიდან უმაღლეს ორგანოებამდე საბჭოთა დაწესებულებაში ერთი და იგივე ხაწილები არ სებობს. სამაზრო რევეკომის განყოფილებების მსგავსად მოწყობილია საქართველოს რევეკომიც, მიილოდ ამ განყოფილებებს სახალხო კომისარიატი ეწოდება. განსხვავება მხოლოდ ტერიტორიალურ ფარგლებში არსებობს და არა სხვაგვარი. ამასთანავე რევეკომის რომელიმე განყოფილება ერთსა და იმავე დროს ჰორიზონტალურად ემორჩილება და პასუხს აგებს რევეკომის წინაშე. ხოლო ვერტიკალური ხაწით სათანადო სახალხო კომისარიატის წინაშე. სამაზრო რევეკომის განყოფილების გაძვე და თვით რევეკომი ერთგვარად აოიან პასუხისმგებელნი სახალხო კომისარიატის ისეთ განკარგულების აუსრულებლობაში, რომელსაც ეს თუ ის განყოფილება უშუალოდ იღებს სახალხო კომისარიატიდან.

ორმაგ პასუხისმგებლობის დაწესებასთან მე-8 ყრილობამ არ შეიმუშავა ერთგვარი ფორმა ყველა განყოფილებათა დამოკიდებულებისა ცენტრისა და ადგილობრივი აღმასკომისგან (რევეკომისგან). ზოგიერთ განყოფილების მიმართ ცენტრის უფლებები საბჭოებს (სამხედრო, სასურსათო რწმუნებულნი და სხვ.), ზოგიერთის კი უკუღმა. ეს საკითხი

ლიად იქმნა დატოვებული შემდგომ ყრილობებისათვის, რომელნიც დაკვირვების მიხედვით გამოიშუშავენ მ-ს.

შემოგვი საყურადღებო საკითხი საბჭოთა აღმშენებლობისა, არის საკითხი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების დამოკიდებულებისა, რაშიც ღირსადსანიშნავია ერთი მთავარი დებულება: ცენტრალური ხელისუფლების განკარგულების ჭარბობა ადგილობრივ ორგანოების განკარგულებაზე. თუ ერთსა და იმავე საკითხზე ორი საწინააღმდეგო განკარგულებაა მიღებული, ადგილობრივი ორგანო ვალდებულია აასრულოს ცენტრის განკარგულება; თუ უკანასკნელი ადგილობრივ ძალებისგან შეუფერებლად იქმნა ცნობილი, განკარგულება მაინც უნდა ასრულდეს, ხოლო სათანადო ცენტრალურ ორგანოს უნდა მოხსენდეს განკარგულების საწინააღმდეგო საბუთები; თუ ადგილობრივი ძალები ცენტრის განკარგულებაში დაინახვენ არსებულ კანონების (დეკრეტების) საწინააღმდეგო დებულებას, მათ მხოლოდ ამ შემთხვევაში, შეუძლიათ არ შეასრულონ ცენტრის განკარგულება, ოღონდ პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ აღმასკომის (რევკომის) მთელ შემადგენლობას.

მოკლე ანგარიშით ჟურნალი ვერ ამოსწურავს მოხსენების ყველა დებულებებს, მაგრამ მთავარი აზრების გადმოცემის შემდეგ მოგიყვანთ მოხსენების მეორე ნაწილის მოკლე შინაარსს კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ რაზედაც გადავიდა ამხ. კვირკელია სხდომის 10 წუთით შეწყვეტის შემდეგ.

პირველად ყოვლისა მომხსენებელმა აღნიშნა შინაგან საქმეთა კომისარიატის უმთავრესი მიზნები (ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაცია, მათი კონტროლი, რომ ისინი სასტიკად იცავდნენ უმაღლეს მთავრობის დეკრეტებს და ბრძანებებს, კომუნალურ მეურნეობის მოწყობა, მილიციის ორგანიზაცია და სხვ.) და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში საბჭოების და მისი ორგანოების არ არსებობის გამო შინაგან საქმეთა კომისარიატი მთავარ როლს ასრულებს ადგილობრივ მართველობის მხრივ. კომისარიატს ემორჩილება საშაზრო რევკომები მთლიანად, მასვე ეკუთვნის მეთვალყურეობა საბჭოთა არჩევნების კანონიერად ჩასატარებლად და იგივე არჩევს საჩივრებს სარჩევნო წესების დარღვევის შესახებ. შემდეგ ამისა მომხსენებელი გადავიდა კომისარიატის ექვს უმთავრეს მთავარ სამმართველოების მოღვაწეობაზე (საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, კომუნალური, მილიციის, იძულებითი მუშაობის, ცენტრალური საგვაკუაცია და საქმეთა მმართველობა), რომელთა შორის საორგანიზაციო-საინსტრუქტოროს უწოდა „ყველაფრის მხედველი თვალი“ კომისარიატისა. საინსტრუქტორო სამართველოს გასულა 8 თვის მოღვაწეობიდან ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იგი მუდმივ უწყვედა ინსტრუქ-

ტორობას ყველა მაზრის ინსტრუქტორებისა და აგენტების ხანგრძლივად მივლინებით. ასევე მივლინება იყო 30-ზე მეტი და ყველა ინსტრუქტორებისა, რომელიც გამოარკვიეს ინსტრუქტორებმა საჭირო სისწრაფით სწორდებოდა. აქვე აღსანიშნავია დიდი მუშაობა ადგილობრივ ორგანოების პირადი შემადგენლობის შესარჩევად წარმოებული, რამაც მრავალი შეუფერებელი და მავნე პირის გადაყენება გამოიწვია. საორგანიზაციო მთავარ სამართველოსავი უხდებოდა განხილვა იმ საჩივრებისა, რომელნიც მრავლად მოსდიოდა კომისარიატის, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ადგილობრივ ორგანოებზე. საერთო რიცხვი საჩივრებისა სექტემბრის გასულამდე 761 იყო, ბევრმა მათგანმა გამოიწვია განსაკუთრებულ აგენტების მივლინება გამოსაძიებლად და საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ს. ს. მთავარმა სამართველომ ყველა საჩივარი დროულად გაარჩია და ყველას გამოასცა შესაფერი განკარგულება. შემდეგ ამისა აღსანიშნავია სამართველოს მონაწილეობა, როგორც კომისარიატის წარმომადგენლის მრავალ საუწყებათა შორის კომისიაში და აგრეთვე, სამართველოს მიერ ჟურნალ „ზოამბის“ გამოცემა, რომელიც ზედმიწევნით სწორად ათავსებს თავის ფურცლებზე მთავრობისა და კომისარიატების მიერ გამოცემულ ყველა დეკრეტს და ბრძანებას და სხვ. ჟურნალის შექმნით ძლიერ მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული ადგილობრივი ორგანოების ინფორმაცია მთავრობის მოქმედების შესახებ. უკანასკნელ დროს ჟურნალის არაოფიციალურ ნაწილში ყველა მაზრის მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა თავსდება და ამ გზით ცენტრსაც დროზე აქვს საინფორმაციო მასალა ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ ამისა მომხსენებელი შეეხო კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამართველოს მოქმედებას, რომლის მუშაობას ძლიერ აფერხებდა გარკვეული დებულების უქონლობა და მისი ფუნქციების არევა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ფუნქციებთან. ამ საკითხის გამოსარკვევად ყრილობამ განსაკუთრებულად იქონია მსჯელობა, რომლის შედეგაც გამოტანილ იქმნა შესაფერი რეზოლიუცია, რასაც ქვემოთ მოგიყვანთ. მიუხედავად ამისა სამართველოს მოღვაწეობა მაინც ნაყოფიერი გამოდგა, რომელმაც შეიმუშავა მრავალი ინსტრუქცია და ცირკულიარი ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებების მოსაწყობად, შეიმუშავა ტიპიური გეგმები მუშათა სახლებისა, ქალაქ-ბაღებისა და სხვ. და საზოგადოთ, შესამჩნევად წასწია წინ რესპუბლიკის ქალაქების ბურჟუაზიულ მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის საქმე.

ასევე სრული აღმოჩნდა მილიციის მთავარ სამართველოს მოღვაწეობა, რომელმაც სრულიად არაფრისგან შექმნა მძლავრი მილიცია რესპუბლიკის ყველა ჩამორჩენილ კუთხეშიაც-კი. აქვე აღნიშნულ იყო სისხლის სამართლის საქმეთა მიძიებარ მილი-

ციის დაარსება. განსაკუთრებით ხაზი გაესვა მილიციის მუშაობის უმთავრეს ხელშემშლელ მიზეზს — საშვალებათა უქონლობას ტანთსამოსის, ცხენების და სხვ. შესაძენად, რაიც ძლიერ ვნებს და თითქმის აქარწყლებს კარგათ დაწყობილ მილიციის ორგანიზაციის საქმის დამთავრებას.

შემდეგ განხილულ იქმნენ დაწვრილებით კომისარიატის ყველა ნაწილის და განყოფილების მოქმედება, რომლის მოკლე ანგარიშის მოყვანაც-კი შეუძლებელია ყურნალის ფურცლებზე, იმდენად სრულად იყო ეს ანგარიში მოყვანილი მოხსენებაში და ამიტომ საერთოდ აღნიშნავთ, რომ მოხსენებამ სრულიად დააკმაყოფილა ყრილობის წევრი, რაიც შეკითხვათა და საკამათო სიტყვების სიმკვირით დაშტკიცდა.

მოხსენების შესახებ კამათი გაიმართა მე-9 სხდომაზე, 26 ნოემბერს დილით. მოკამათენი უმთავრესად ეხებოდნენ კომისარიატის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეებს. ამხ. მეგრელიშვილი, ქავთარაძე, მამულია, შოვირაძე და წულუკიძე ხანგრძლივად შეჩერდნენ მილიციის მთავარ სამმართველოს მოღვაწეობაზე, აღნიშნეს მისი ნაკლი, როგორც, საერთოდ, ბორბტ-მოქმედებათა სუსტად დევნის მხრივ, ისე უფრო მილიციის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ, რისგამოც ბრალი დასდეს მილიციის მთავარ სამმართველოს უმოქმედობაში, ხოლო ამხ. მეგრელიშვილი მოითხოვდა მთავარ სამმართველოს სრულ გაუქმებას.

ამხ. გოგია და წულუკიძე აღნიშნავდნენ სამხედრო მოქმედებით მიყენებულ ზარალის ამანაზღაურებელი კომისიის მოქმედებას, რომელიც ზედმეტ ფორმალობას იჩენს, მრავალ მოწმობებს თხოულობს, რითაც ძლიერ აფერხებს საქმის დაბოლოვებას.

ამხ. მამულია შეეხო საუწყებათაშორისა გამომძიებელ კომისიას, რომელიც დასავლეთ საქართველოში იყო გაგზავნილი რევკომების სარევიზიოდ და მოითხოვა, რომ ასეთ კომისიებში მხოლოდ პარტიული ამხანაგები ინიშნებოდნენ.

თითქმის ყველა ორატორი მოითხოვდა სამაზრო და უფრო წვრილ რევკომებისათვის გადამზიდავ საშვალებათა და განსაკუთრებით ავტომობილების მიცემას, რომლის უქონლობა ძლიერ აფერხებს, საზოგადოათ მთელი მუშაობის წესიერ მიმდინარეობას.

მხოლოდ ერთი ამხ. წულუკიძე შეეხო მოხსენების პირველ ნაწილს და აღნიშნა, რომ საბჭოთა მე-8 ყრილობამ დემოკრატიულ ცენტრალიზმის საჭიროების აღიარებასთან ერთად, ხაზი გაუსვა „ძალაუფლებას ადგილებზე“. ორატორი მიზანშეწონილად სცნობს ცენტრალიზმს ორგანიზაციის ხანაში, მხოლოდ მუშაობის შეჩვევის შემდეგ საჭიროდ მიიჩნია მეტი უფლებების მინიჭება ადგილებისათვის მართველობის საკითხებში.

საპასუხო სიტყვაში ამხ. კვირკელიამ შესაფერი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას და სიტყვებს.

ხაზვასმით აღნიშნა, რომ მოხსენებმა პარტიული ლურჯა დებულებებმა არავითარი კამათი არ გამოიწვია; აღნიშნა აგრეთვე, რომ მილიციის მთავარი სამმართველო ყოველივე დონეს ხმარობდა მილიციისათვის ყველა საჭირო საგნების მოსამარაგებლად, მაგრამ რესპუბლიკის რესურსები ვერ აკმაყოფილებს ყველა მოახლოვნილებას და მოუწოდა ყრილობას ადგილობრივ გამოენახათ საჭირო საშვალეები და მით დახმარებოდნენ ცენტრს ამ მიძიე საქმის შესრულებაში.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „სამაზრო რევკომების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების ყრილობამ მოისმინა-რა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. კვირკელიას მომხსენება, ყრილობა საერთოდ და მთლიანად იწონებს კომისარიატის განვლილ მოღვაწეობას, რადგანაც არსებულ მძიმე ობიექტიურ პირობებში მეტის მიღწევა ძნელი იყო კერძოდ-კი ყრილობას საჭიროდ მიიჩნია, რომ კომისარიატმა მიიღოს გადამწყვეტი ზომები მილიციის ტანისამოსის და ყოველი სხვა საჭირო საგნების დაუყონებლივ მოსამარაგებლად და აგრეთვე მილიციის პირადი შემადგენლობის გასაჯანსაღებლად. ამათანავე ადგილობრივ მომუშავე ძალთა ძლიერი ნაკლებობის გამო ყრილობა საჭიროდ სცნობს სთხოვოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს მარბზე გაანაწილოს ცენტრში, შტატს გარეშე დარჩენილი, მუშაკნი.

**მე-4 სხდომა (23 ნოემბერი, საღამო)**

თავმჯდომარეობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. კუხალეიშვილი.

უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ავაჭოვი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უმაღლესი სამეურნეო საბჭო სრულიად ახალი ორგანოა, რომელიც საბჭოთა წესწყობილების შემქმნელია და მას წინანდელ რეჟიმის დროს არ ჰყოლია წინაპარი და მისი შედარება ყოფილ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან სრულიდ შემცდარია. ამის გამო საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოუხდა რუსეთის საბჭოს ფრიად ფართო დებულების შეფარდება საქართველოს პირობებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი გაცხოველებული მუშაობა. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მიზანია მრეწველობის აღორძინება და მასთან დაკავშირებულ საკითხთა დამუშავება. ჩვენ მუშაობის დასაწყისში ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ნედლი მასალა მოიპოვება სხვა და სხვა სახის მრეწველობის ასამოძრავებლად და ჩვენც ფართოთ მოვაწყეთ მისი აღწერა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ მხრით ძალიან ღარიბნი ვყოფილვართ და ამ გარემოების გამო საქართველოში მთავარი ყურადღება ექცევა



ამომღებ მრეწველობას. ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ქიათურის შავ ქვას, რომელიც 126 კვ. ვერსტის ფართს შეიცავს და რომელიც მთელი ქვეყნიერების 1/3 მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამ ქვად შავი-ქვის ბუდობის დამუშავება აღარ სწარმოებს, რადგან 50 მილიონზე მეტი ქვაა დამზადებული გასატანად, ხოლო გატანა კი უკანასკნელ ხანს განახლდა და როდის ამოსწურავს მთელ დამზადებულ ქვას ძნელი სათქმელია.

აგრეთვე ყურადსაღებია ტყიბულის ქვა-ნახშირი, რომელიც ნავთის კრიზისის გამო ძალიან საქირთველოს მრეწველობისა და რკ. გზებისათვის. ამ ქვად ტყიბულის ქვა-ნახშირით, სათბობი მასალათ უზრუნველყოფილია საქართველოს რკინის გზების დასავლეთის უბანი. ნაწილი სამრეწვილო ფაბრიკებისა და ქ. ტფილისის ზოგიერთი დაწესებულებანი სათბობის მხრივ (მუშათა სასახლე და სხვ.). ქვა-ნახშირის მოთხრა, სხვა და სხვა მიზნების გამო, ამ ქვად ვერ სწარმოებს საქირთველ მასშტაბით, მაგრამ ზომებია მიღებული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე დროში იგი მიღწევს უდიდეს წერტილს.

შედეგ მომხსენებელმა მოიხსენია გამომწვარ აგურის ქარხანა ს. შროშაში, რომელიც აკმაყოფილებს მთელი ამიერ-კავკასიის რკინის გზებს, ბაქოს ნავთის მრეწველობას და კასპიის ფლოტს.

მომხსენებელი შეეხა ნავთის და მარილის მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას საქართველოში და აღნიშნა, რომ სათანადო მუშაობა უკვე სწარმოებს კახეთში, სადაც გაიგზავნა მოწყობილება და სპეციალისტი მუშები, ბაქოდან მივლინებულნი. ნავთის მრეწველობის განსავითარებელი მუშაობა სწარმოებს შირაქის რაიონში, ხოლო მარილის დასამუშავებელი მარტყოფის და ნორიოს რაიონებში.

შემდეგ ამისა მომხსენებელი გადავიდა სატყეო მრეწველობაზე, აღნიშნა საქართველოს ტყეებს სიმდიდრე, მოიხსენია გაცხოველებული მუშაობა შესისა და შპალების დასამზადებლად წარმოებული და გადავიდა ტყის ქარხნების მუშაობაზე საშენი მასალის დასამზადებლად.

საქართველოს მრეწველობის სრული სურათის წარმოსადგენათ მომხსენებელმა განიხილა თამბაქოს, სპინის, ტყავის და ლითონის დამამუშავებელ მრეწველობათა მდგომარეობა, რომელშიაც განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ნედლი მასალის ძლიერ ნაკლებობას, რაიც ძლიერ აფერხებს მრეწველობის აღნიშნულ დარგების აღორძინებას. ამ დარგებში ფაბრიკა-ქარხნები მუშაობას შესაძლებელი ტემპით ვერ აწარმოებენ, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ჩატახის ლითონის დამამუშავებელი ქარხანა ბორჩალოში თავის უნუგემო მდგომარეობით. მუშაობის ჯეროვან ნიადაგზე დასაყენებლად საქირთველ ქარხნის მრავალი ნაწილების სრული გადაკეთება.

დაბოლოს მომხსენებელი შეეხა სახელმწიფო

აღმშენებლობის კომიტეტის (კომგოსოპ) მუშაობას და აღნიშნა, რომ ეს კომიტეტი ფართო საქმიანობის მიხედვით მუშაობას აწარმოებს დასავლეთ საქართველოში არხების გასაყვანად, რასაც უდიდესი თანაგრძნობით ხვდება ადგილობრივი გლეხობა, ამასთანავე აღნიშნული იყო ფრად დამალონებელი მდგომარეობა სახელმწიფო შარა-გზებისა, რომელთა შორის კომიტეტმა მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზის, ცოტად თუ ბევრად, შეკეთება მოახერხა. მომხსენებელმა იმედი გამოთქვა, რომ ამ ბოლო დროს მათს განკარგულებაში გადმოსული სამხედრო-საინჟინერო რაზმები დიდთ შეუწყობენ ხელს შარა-გზების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენების საქმეს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც ცხოვრებაში უნდა გაატაროს უმთავრესმა სამეურნეო საბჭომ, დაწვრილებით განიხილა თუ რა პირობებმა გამოწვია ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა რუსეთში, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არსებულ სამეურნეო დაშლილობის დასაძლევად საბჭოთა მთავრობას უნდებოდა კერძო კაპიტალის ამოძრავება და იმედი გამოთქვა, რომ კომუნისტურ პარტიას სახელმწიფო აღმშენებლობის საქმეში ბევრი დაბრკოლება გადალობებია წინ, მას ყველა დაუძლევია და ექვი არ არის იგი დასძლევს სამეურნეო ფრონტსაცო.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვა მისცეს, მაგრამ ვინაიდან თითქმის ყველა მათგანი განმეორებულ იქნა ყრილობის წევრთა საკამათო სიტყვებში, ამიტომ პირდაპირ გადავალთ კამათზე.

ამხ. ავაქოვის მოხსენების გარჩევას ყრილობამ მოანდომა მე-11 და მე-12 სხდომა 27 ნოემბერს.

ამხ. ქავთარაძე, ჩახნაშვილი და თოფჩიშვილი აღნიშნავენ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს უმოქმედობას ადგილობრივ. ყველას მოჰყავს უმოქმედობის მაგალითები თავ-თავიანთ მაზრების ცხოვრებიდან, რასაც საგრძნობი ზარალი მოჰყვა შედეგად. განსაკუთრებით ხანგრძლივად შეჩერდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოქმედებაზე ამხ. ქავთარაძე, რომელიც აღნიშნავს ზუგდიდის მაზრის ხის სახერხ ქარხნების სრულ გაცდენას, მიუხედავად იმისა, რომ მაზრის ორგანოები სთხოვდნენ ასამუშავებლად მათთვის გადმოცემას. იგივე აღნიშნავს სამეურნეო საბჭოს გულგრალობას ზუგდიდში ცეცხლისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ და აგრეთვე სრულ უმოქმედობას რესპუბლიკის ერთადერთ სპირტის სახდელ ქარხნისას ს. აბასთუმანში.

იგივე ქავთარაძე და შოგირაძე ხაზს უსვამენ, რომ სამეურნეო საბჭომ დროზე არ გამოსცა ცირკულიარები დარჩენილ ქონების შესანახად და ამ ქვად კი ნედლი მასალის უქონლობაზე სჩივიანო. უკანასკნელი ამხანაგი აღნიშნავს აგრეთვე ცენტრალ-ტრამოტის უსისტემო მოქმედებას, რომელმაც ვერ შესძლო გამოცხადებულ მობილიზაციის გა-

მოყენება და გატარება ტვირთთა ზიდვის მოსაწყობად.

ამხ. წულუკიძე შეჩერდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლებზე, აღნიშნა, რომ ამხ. ლენინი მოითხოვს, თავის უკანასკნელ სიტყვაში პოლიტგანათლების გამგეთა ყრილობაზე, უკან დახევას და კერძო კაპიტალის ამოძრავებას, ორატორს აუცილებლად მიაჩნია უპირატესობა მიეცეს კოლექტიურ წარმოებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობაში მხოლოდ უბრალო შაბლონი და მიბაძვა რუსეთის მაგალითებისადმი სჭარბობს. ამასთანავე ორატორი საბჭოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მისი დაკვირვებით საბჭო ცუდათ იცნობს ადგილობრივ შეკრულ კონცესიების ისტორიას და ფრთხილ საზარალო პირობებით ეკვრება კერძო მწარმოებლებს, რის მაგალითად ასახელებს რაჭის ტყეების გადაცემას საექსპლოატაციოდ ერთს კერძო მრეწველზე.

თითქმის ყველა ორატორი ჩერდება რესპუბლიკის შარა-გზების უნუგეშო მდგომარეობაზე და მოითხოვენ ამ საქმის საჩქაროდ მოგვარებას.

მომხსენებელი ავაქოვი თავის საბასუხო სიტყვაში აღნიშნავს, რომ ის უფრო მნიშვნელოვან კრიტიკას და შეჩვენებს მოელოდა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობაზე და განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც მხოლოდ ერთი ორატორი შეეხო და ისიც ძალიან ვაკვრით, მომხსენებელი შეჩერდა იმ მძიმე ობიექტიურ პირობებზე, რომელშიც მოუხდა მუშაობა უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, მას არ შეეძლო ეხელმძღვანელა წარსული მაგალითებით, მის ხელთ იყო რუსეთის საბჭოს მუშაობა და ორგანიზაცია, რომელიც ნაკლებ გამოსადეგი იყო საქართველოსთვის და თხოულობდა ადგილობრივ პირობების მიხედვით გადაკეთებას და მათთან შეფარდებას. ამასთანავე ამხ. ავაქოვი ხელახლა აღნიშნავს თუ რა ვაუკეთებია უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მრეწველობის განვითარებისათვის და მუხლობრივ უპასუხებს მოკამათე ორატორებს მათ შენიშვნებზე და აღნიშნავს, რომ მთელი მათი მუშაობა ერთგვარი გამოცდაა, როდესაც მათ უნდა გამოამჟღავნონ უნარი თვითმოქმედებისა.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „სამაზრო რევიკომების თავმჯდომარეების და მათი მოადგილეების ყრილობამ მოისმინა-რა ამხ. ავაქოვის მოხსენება აღნიშნავს, რომ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობას ბევრი სუსტი მხარე ჰქონდა. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოღვაწეობა დღემდე მიპართული იყო იმ წარმოებათა შენარჩუნებისაკენ, რომლებიც მივიღეთ მენშევიკებისაგან და ამ მხრით უმაღლეს სამეურნეო საბჭოს საყვედური არ ეთქმას უპოქმედობაში.

მაგრამ ძლიერ ცოტა და თითქმის სრულიად არაფერი არ გაკეთებულა ამომღებ მრეწველობის

საორგანიზაციოდ, გარდა ტყიბულის და ქიათურის მაღაროებისა. რესპუბლიკის აურაცხელი ტყეები უსარგებლოთ რჩება და ან გულუბნობით საექსპლოატაციოდ კერძო მრეწველებზე და ამ გადაცემის დროს არ არის მიღებული საკმაო გარანტია, რომ ექსპლოატაცია სწორედ და სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ იქნება წარმოებული.

ყრილობა წინადადებას აძლევს საბჭოს ფრთხილად მოეცილოს კონცესიების გადაცემას და ხელშეკრულებებს კერძო პირებთან, აირჩიოს ძათგან საქმის მცოდნე და შეუარებით პატიოსანი პირნი, უარი არ ეთქვას ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც შეუძლიათ და უნდა გაუწიონ დიდი დახმარება ადგილებზე წარმოების მოსაწყობად.

აღნიშნავს რა საგზაო აღმშენებლობის და უმთავრეს შარაგზების შეკეთების მეტად უნუგეშო მდგომარეობას, ყრილობა მიაქცევს უმაღლეს საბჭოს ყურადღებას ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ეკონომიურ და სტრატეგიული მხრივ.

გარდა ამისა ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რომ უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ყველა ადგილობრივი ორგანოები, როგორც სატყეო და სხვ. ემორჩილებოდნენ ეკონომიურ განყოფილებებს, რათა ამ გზით აცილებულ იქმნას საქმისათვის მავნე პარალელიზმი“.

(შემდეგი იქნება)

### მაზრის რევიკომები

#### 3. დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრის რევიკომის მოხსენებიდან, როგორც მაზრის მდგომარეობის, ისე მისი მოქმედების შესახებ, შ. ს. ს. კომისარიატი ღარიბია. ამ მაზრის რევიკომს სექტემბრამდე მხოლოდ ორი მოხსენება აქვს წარმოდგენილი. ასე რომ განსახილველი პერიოდის სურათის ნათელი წარმოდგენის მიღება ძნელია. ამის მიუხედავად, იმ ცნობების ერთმანეთთან შეფარდებით, რომელიც კომისარიატს მოეპოება, დუშეთის მაზრის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

ა. წ. 27 მაისს წარმოდგენილი მოხსენებიდან სჩანს, რომ დუშეთის მაზრის რევიკომმა, თავისი განყოფილების ორგანიზაციის შემდეგ უმთავრესი ყურადღება მიაქცია მაზრის ყველა კუთხეში სათემო რევოლიუციონურ კომიტეტების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მაზრაში სტიქიურად მოეწყო ადგილობრივი რევიკომები, ამიტომ მათ შემადგენლობას მაზრის რევიკომი სრულიად არ იცნობდა. მიიღეს რაღეს მხედველობაში მაზრის უმაღლესმა ორგანომ დაადგინა: რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დაეჭირა რაიონებთან და თან ყველა სათემო რევიკომი გაეწმინდა არასასურველი ელემენტებისაგან. ეს მით უმეტეს იყო საჭირო, იმ გადატრიალების

პირველ ხანებში ბევრი არასასურველი ელემენტი შეიპარა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. მაზრის რევიკომის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, შინაგან საქმეთა მმართველობის გამგეს დაევალა ამ ზომის სისრულეში მოყვანა და ამასთანავე მილიციის რეორგანიზაცია. დუშეთის მაზრა დაყოფილი იქნა მაშინ 10 სათემო რევიკომად (დღეს 13-ია)

**უჩინვალის სათემოში**, გაიმართა ყრილობა, რომელზეცა და მაზრის რევიკომის წარმომადგენლებმა სიტყვები წარმოიტყვეს და გახუმოტეს ხალხს განსხვავები მენ შევიკუთა და ბოლშევიკურ ხელისუფლების შორის. გლეხობას ძალიან აინტერესებდა მიწის საკითხი. ამ ყრილობაზე შეცვლილ იქნა სათემო რევიკომის შემადგენლობა, რადგან გლეხებმა მათ წინააღმდეგ ბევრი საჩივარი განაცხადეს. მილიცია და რევიკომი, ამ თემში, მოთავსებული იყო ერთ ოთახში და ეს გარემოება კი აფეოხება ორივე ორგანოს მოქმედებას. ამიტომ რევიკომის ბინა გადატანილ იქნა სოფლის შუა გულში და მილიცია კი დაოჩა ძველი ბინაზე. უჩინვალის მილიცია დაქმნაყოფილად მუშაობს და ასრულებს რევიკომის ყველა ბოძანებას და დადგენილებას. თემში სიწყნარე და წესიერება სუფევს.

**საგურამოს თემში** მდებარეობს არაგვს გაღმა და ეკედლება ერთის მხრივ თიანეთის მაზრას, მეორე მხრივ კი თფილისისას და აერთებს თხუთმეტს სოფელს. თებერვლიდანვე აქ, რევიკომს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი პარტიული ამბანაგი და ამიტომ წესრიგი არ დარღვეულა. ვინაიდან რევიკომის შემადგენლობა ამ თემში არ იწყვედა საყვედურებს, იგი არ ყოფილა გადახალისებული. მიწის საკითხი აქაც უპირველესი საკითხთაგანია გლეხობისათვის; მათ მოითხოვეს ჯაგების გატება, რომ მამული გაეფართოებიათ. ეს სურვილი დაქმნაყოფილებულ იქნა. არჩეული იქნა მიწის კომიტეტი, რომელსაც დაევალა სვრილობის დავის განხილვა, განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე.

**მცხეთის სათემო.** ძალიან დაშორებულია მაზრის ცენტრიდან, ამიტომ მცხეთის თემის მცხოვრებთა ყრილობა გამართული იქნა სოფ. ნატახტარში. აქაც ჩვეულებრივი კითხვა გლეხობისათვის იყო მიწის საკითხი. არჩეულ იქნა მიწის კომიტეტი. ადგილობრივი რევიკომის შემადგენლობა შეცვლილი იქნა, ვინაიდან მასში ბევრი არა საიმედო შეუფერებელი პირი იყო მოკალათებული. მცხეთის უმთავრესი საკითხია ლტოლვილთა საკითხი, რომელთა გადაყვასას იქიდან-აუცილებელი პირობები მოითხოვს, ვინაიდან მათში გავრცელებულია გადამდები სენი და თუ არ მოხერხდა მთელი თემის დაცლა შესაძლებელია სენმა დიდ ზებედურება დაატრიბოლოს. მცხეთის აგარაკები ლტოლვილების მიერ სრულიად განადგურებულია და მოითხოვს დიდ

რემონტს. მილიციის შესახებ, მაზრის მილიციის უფროსს მიეცა წინადადება, დაუყოვნებლივ განსწავლინდოს იგი არ სასურველი ელემენტებისგან.

**მუხრანის სათემოს** თავისი ქონებრივი მდგომარეობით და გეოგრაფიული მდებარეობით, მთელი მაზრაში პირველი ადგილი უკავია. სახელმწიფო ვენახები და კულტურული მამულების მაზრის სიამაყეს შეადგენენ. ვენახი მოუვლელი და ბევრგან გაპარტახებული იყო. სამაზრო რევიკომმა მიიღო ზომები მათ აღსადგენად და დასაცავად გადასდო მილიონ ნახევარი ძახეთი სახელდახლო ხარჯების გასაწევად. თემში სკოლები ყველგან ზუშაობენ. გერძანელების და აისორთა კალანის შორის ამტყდარი დავა მიწის შესახებ, მაზრის რევიკომმა მშვიდობიანად მოაგვარა.

**ახალგორის სათემოში** რევიკომის შემადგენლობა აღრევე შეიცვალა, ვინაიდან დამტკიცდა ყველა ის საჩივარი, რომელიც აღძრული იყო მათ წინააღმდეგ. ახალგორში დასახლებულნი ყოფილან სპეკულიანტები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ საქონლის გადასამალავად. მათ მიეცათ წინადადება სამისათვის განმავლობაში გაეღოთ დუქნები და გამოეფინათ საქონელი გასასყიდად, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. მიღებული იქნა ზომები რომ შეკეთებულიყო ის მიუვალნი გზები, რომელიც აერთებს მონასტრის და ლეხურის საზოგადოებას.

**ბაზალეთის სათემო** ბოლშევიკურ სოფლად ითვლებოდა 1918 წლიდანვე. ამ სოფელმა პირველად დაიწყო აჯანყება მენ შევიკების დროს. ამ თემში ძალიან სიძვირეა მიწებისა. რევიკომი საიმედო პარტიული პირებისაგან შესდგებოდა. ყაჩაღობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქ უწინ, თითქმის სრულიად ჩაქრა. თემში დაწესებულია მილიციის „პოსტი“.

**ფასანაურის სათემოში** ყრილობამ დიდი სიამოვნებით მოისმინა მიწის დეკრეტის ახსნა განმარტება და ვინაიდან აქ დიდი სივიწროვე სახანგსათვის, გლეხობა დიდის ინტერესით მოელის ახალ რეფორმას. მიწის სივიწროვის გამო ხშირია მცხოვრებთა ყარაიაზში გადასახლება.

**მღეთის სათემო** ძალიან ცუდ პირობებში იმყოფება ძატერიალოურის მხრივ. წარსულშიაც აქაურები კავკავიდან მოტანილი სიმინდით იკვებებოდნენ და ახლაც მათ აინტერესებთ ის საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მათთვის კავკავიდან სიმინდის მოტანა. რევიკომმა კავკავიდან 2000 ფუთი სიმინდი ჩამოიტანა მღეთელი გლეხობისათვის. მაგრამ გადმოტანილი სიმინდის მცხოვრებთათვის დარიგება არ მოხერხდა, ვინაიდან იგი თფილისს იქნა გადაზიდული. სამაზრო სასურსათო კომიტეტი იღებს ზომებს დანაკლისის შესავსებათ. გუდაუოში არსებული რევიკომი გაუქმდა, რადგან მისი არსებობა სრულიად ზედმეტი შეიქნა. გუდა-

ურის სიზოგადობა შეუერთდა მღეთისას და დატოვებულ იქნა მხოლოდ სამილიციო პოსტი.

კობის სათემო რევკომი შედის დუშეთის მაზრაში და აქედან იღებს როგორც სახარჯოს, აგრეთვე სურსათსაც, ხოლო დანარჩენ კითხვებში იგი დამოკიდებული იყო სამხრეთ ოსეთის რევკომიდან. ამ სათემოს საკითხის (დაქვემდებარების მხრივ) გამოკვლევა აუცილებელ საკითხებს შეადგენს.

ყაზბეგის თემი განსაკუთრებულ პირობებში იყო. ეს მხარე ყოფილი მთავრობის ბურჯი იყო იმ თავითვე და პირველ ხანებში ეს განწყობილება არ შეცვლილა. რევკომის შემადგენლობა აქ არ იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე და ორი თვის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოიპოვა მცხოვრებთა შორის. ამიტომ რევკომი მთლიანად იქნა გადაყენებული და დაინიშნა ახალი წევრები. გამოცვლილ იქნა აგრეთვე მილიციის უფროსი და მთელი შემადგენლობა.

მაზრის რევკომის წარმომადგენლების მიერ მთელი მაზრის მოვლამ თითქმის სამი კვირა გასტანა.

თვით მაზრის რევკომში მოწყობილია სასურსათო კომიტეტი, რომელმაც ამუშავა მაზრაში მოწყობილი კოლპერატივები და ყველა თემში დანიშნა თავისი რწმუნებული. ეკონომიური განყოფილება მაისში ამთავრებდა ელექტრონის სადგურის გაშართვას ქ. დუშეთში. ამუშავებული იქნა აგრეთვე მოტორიანი წისქვილები. მილიციისათვის, ვინაიდან მათ ტანისამოსი არ ქონდათ, რევკომმა გადასდო საჭირო ფართალი საცვლების და ტანისამოსის შესაყრად. ადგილობრივმა სახელოსნომ ასი ხელი ტანისამოსი უკვე დაამზადა მილიციისათვის. კულტურული მუშაობა წინ მიდის. გაიხსნა ორთვიური პოლიტიკური კურსები პარტიული და საბჭოთა მოსამსახურეების მოსამზადებლად. დაჭირავებულია თეთლისიდან, მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ქ. დუშეთში და მაზრის ყველა კუთხეში მართავს უფასო წარმოდგენებს.

პოლიტიკურის მხრივ მაზრაში სიმტკიცეა, მხოლოდ იგი განიცდის სურსათის დიდ ნაკლებობას. სამაზრო რევკომს არა აქვს არავითარი მიმოსვლის საშუალება და ეს აფერხებს მჭიდრო კავშირს ცენტრთან და მაზრის სხვა კუთხეებთან. მთელი სახნავი მამულები დათესილია და იმედია შედარებით კარგი მოსავლისა.

სამაზრო რევკომში არის შემდეგი განყოფილებანი: 1) შინაგან საქმეთა სასამართლო, 2) განათლების, 3) ჯანმრთელობის 4) სასურსათო, 5) სამხედრო, 6) კომუნალური, 7) სოც.-უზრუნველყოფის, 7) საფინანსო და 9) იურიდიული. საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილება. მაზრაში საგრძნობი ნაკლებობაა პარტიული გამოცდილი ამხანაგებისა.

მაზრას შეუძლია გაიტანოს ქაზარზე მატყლი,

ყველი, ერბო, შეშა და ნახშირი. მაზრა კულტურულად ჩამორჩენილია. მთელს მაზრაში არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ არსებობს. ცილისტური დარგის შკოლა გარდა წინამძღვრისათვის სასოფლო-სამეურნეო შკოლისა.

ყველა სათემო რევკომი მაზრასთან ტელეფონითა დაკავშირებული, რაც სამაზრო რევკომს საშუალებას აძლევს იქონიოს სათემო ორგანოებზე მუდმივი ზედამხედველობა და კონტროლი.

მაზრის რევკომის განკარგულებით ა. წ. 1 ივნისს მოწვეულ იქნა ქ. დუშეთში სათემო რევკომების თავმჯდომარეთა და მილიციის უფროსთა პირველი ყრილობა.

ყრილობას დაესწრო 6 თემის რევკომის თავმჯდომე 5 თემის მილიციის უფროსი. ადგილებიდან მოხსენების მიხედვით გამოირკვა რომ შესამჩნევი ცვლილება ზევით მოთხრობილის მერე, ადგილობრივ არ მომზარა. მხოლოდ საგურამოში გაიხსნა კოლპერატივი, სასადილო მოსამსახურეთათვის, მიწის საკითხის მომწყობმა კომიტეტმა დაიწყო გზების შეკეთება, მაგ. ახატის გზა. მოხსენებელმა აღნიშნა ბეთალის საჭიროება რაიონში. ხალხს აწუხებს შიმშილი. მილიციისათვის საჭიროა ტანსაცმელი და საერთოდ ეკონომიურად მათი უკეთეს პირობებში ჩაყენება.

მცხეთის რევკომის თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა რომ მილიცია, რომელიც პირველად იქნა დანიშნული ვერ იდგა თავის სიმაღლეზე და ამიტომ მისი შემადგენლობა შეიცვალა. ტანსაცმელი აქაც არა აქვთ მილიციონერებს. რაც შეეხება მიწის საკითხს, მცხოვრებლებს პირველ ხანებშივე დაუწყიათ ერთმანეთის მამულის დამუშავება და ამან არვედარევა გამოიწვია. ადგილობრივ მიწის კომიტეტის დაარსებამ აქაც შეაჩერა ასეთი თვითნება მოქმედება. წელს მცხეთის რაიონში არაა დახსული საყოფი მიწა და ამას ხელი შეუშალა ჯარებისათვის საჭირო ბევრის უსაზღვრო შესასრულებლად მცხოვრებთა სამუშაოზე გაყვანამ. სამკურნალო დახმარება რაიონში შედარებით კარგ მდგომარეობაშია. აცრილია ყველა საქონელი. სამკურნალო პუნქტი დაარსდა მარტში. სწავლა განათლების საქმე თემში, ყველაზე უკეთაა მოწყობილი მთელი მაზრაში. არსებობს ორი დაბალი და ერთი უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ეს მცხეთაში. სოფ. მისაქციელში, ნატახტარში და წეროვანში დაბალი სასწავლებელი, მაგრამ ყველას აქლია ინვენტარი და საჭიროა შენობების შეკეთება. სასწავლებლების კომპლექტი სრულია. მცხეთაში არსებობდა წინეთ ბიბლიოთეკა, კლუბი, სცენის მოყვარეთა წრე მაგრამ ჯარმა დააზიანა შენობა, ინვენტარი და ეხლა შეკეთება სჭირდება. მოეწყო კოლპერატივი, ფურნე, სასადილო საბჭოს სადალაქო და ეწყობა მეწაღის და სახარაზო დუქანი. ორი ქარხანა, კერამის და საქსოვი ორივე მუშაობს.



მიღებულია ზომები ელექტრონის სადგურის გასახსნელად.

შუა არაგვისპირიონის თემის რევეკომების თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მილიცია კარგად მუშაობს, მხოლოდ მატერიალურადაა ცუდ პირობებში. სოფ. ბაზალეთში საქსოვი უკოლა გაიმართა. ზემო მთიულეთის და უინვალის თემში სარსათ-სანოვავის ნაკლებობაა. ემჩნევა ორგანოებს უსახსრობა. მუშაობა შეძლებისადაგვარად მიმდინარეობს.

ახალგორის თემში ადმინისტრაცია კარგად მოქმედობს: დაარსებულია მიწის კომისია, გახსნილია საბჭოთა სასაღილო; არის რამდენიმე უკოლაც. სოფ. ბოლის ახლო ვაკეთდა ხიდი. მიღებულია ზომები გზების შესაკეთებლად. დაარსდა კოოპერატივი: მუხრანის თემში მოეწყო კოოპერატივი, დაარსდა კომუნა 30 ოჯახიდან, სამი გუთნით, სოფ. შუახევი კი კომუნაში შედის 49 კომლი 9 გუთნით.

მილიციის უფროსების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სამსახურს პირნათლად ასრულებენ, მხოლოდ ესაჭიროებათ ტანსამოსი და სურსათ სანოვავე, რაც ძალიან უნუგეშო მდგომარეობას ქნის.

ადგილებიდან მოხსენებათა მოსმენის შედეგ, ყრილობაზე მოხსენება გააკეთეს სამაზრო რევეკომის განყოფილებათა გამგებმა.

მიწადმოქმედების განყოფილებამ დაახასიათა საერთო მდგომარეობა თავის დარგში, აღნიშნა როგორი სახით ჩაიბარეს მათ სხვადასხვა მამული, როგორ იყო განაწილებული მიწები და შედეგ განმარტა საბჭოთ მთავრობის დეკრეტები მიწის შესახებ და გააცნო ყრილობას ის გეზი, რომლითაც უნდა იქნეს მიმართული მომავალში მუშაობა. მთელი მაზრა დაყოფილია 12 აგრარული რაიონად. ყველა რაიონში შესდგა მიწის კომიტეტი. ჯერ სწარმოებს წინასწარი მუშაობა, ჰკრეფენ ცნობებს უმიწო და მცირე მიწიანების შესახებ. კომიტეტები არჩევენ სხვადასხვა დავას მამულის გარშემო, უხსნიან მცხოვრებთ დეკრეტების მნიშვნელობას და სხ.

სასურსათო განყოფილების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რადგან შარშან მაზრაში ცუდი მოსავალი იყო და კავკავიდანაც ვერ მოესწრო სიმინდის ჩამოტანა, რაც ჩამოტანილიყო, ისიც თფილისს გაიგზავნა კრიზისის გამო, ამიტომ მაზრას არა აქვს საკმაო პური. გაიხსნა საბჭოთა სასაღილო როგორც დუშეთში, ისე მაზრის სხვა კუთხეებში.

მოაწესრიგეს ულუფის საკითხი მოსამსახურეთა შორის დასარიგებლად და ურიგებენ მათ დასახლებას. რამდენიმე ადგილას გაიხსნა ელექტროტივი და სხ.

შინაგან საქმეთა სამმართველოს გამგის მოხსენებიდან სჩანს, რომ ადმინისტრაციის მოწყობის საქმე დაიწყო 26 თებერვლიდანვე. ცხადია სასწრაფოთ შედგენილ აპარატში მოჰყენენ ისეთი პირებიც, რომლებიც მისაღები ვერ იქნებოდენ და თანდათან ეს ნაკლი თავიდან იქნა აცილებული. ადმინისტრაციისა და მილიციის წინააღმდეგ საჩივარი არ ყოფილა. მაზრაში დაცული იყო მშვიდობიანობა და წესრიგი. ყაჩაღობას ადგილი აქვს მხოლოდ სავურამის რაიონში და მიღებულია ენერგიული ზომები მის აღმოსაფხვრელად. პირველ ხანებში მილიციაში 300 დე კაცი იყო, შემდეგ იგი შემცირებულ იქნა 217-დღე. მაზრა დაყოფილია 12 სამილიციური უბნად. დაარსდა ოთხ ალაგას მილიციელთა პოსტი. სადაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა. ზევით აღნიშნული უტატი მილიციისა არ იქნა დამტკიცებული და მხოლოდ 150 კაცისგანაა შემდგარი იგი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამ მაზრაშიც როგორც სხვაგან, მიქცია ყურადღება როგორც მაზრის ისე ადგილობრივი რევეკომების შემადგენლობას და მიიღო ზომები მისი გასაჯანსაღებლად. გაგზავნა რამდენჯერმე ინტრუქტორი და სავაპომძიებლო კომისია ადგილობრივი ორგანოთა მოქმედების სარევიზიოთ. გადააყენა და პასუხისგებაში მისცა ზოგიერთი რევეკომის წევრი. დუშეთში მომხდარი მკვლელობის ჩამდენი დაპატიმრა და გადაეცა სათანადო უწყებას. გადააყენა კომის რევეკომი დუშეთის სამაზრო რევეკომის წინააღმდეგ ურჩობისათვის და დაუმორჩილა იგი ყოველმხრივ დუშეთის მაზრას, რადგან როგორც გეოგრაფიულად ისე ეკონომიურად კობი მჭიდროთ იყო დაკავშირებული დუშეთის მაზრასთან. საერთოდ კომისარიატი ამ მაზრაშიც აწარმოებდა ისეთსავე მუშაობას მეთვალყურეობის, ზედამხედველობის, კონტროლის, ინტრუქტორობის და ინფორმაციის დარგში, როგორც სხვა დანარჩენ კუთხეში. საჩივრები, რომელიც მოდოდა კომისარიატს ამ მაზრიდან დაუყონებლივ განხილვის შემდეგ, სათანადო განკარგულებისთანავე ეგზავნებოდა მაზრის რევეკომს, რომელიც არ აყოვნებდა ზომების მიღებას. საგანგებო სავაპომძიებლო კომისია, რომელმაც დაიარა მთელი რესპუბლიკა, ამ მაზრაშიც იყო გაგზავნილი.

(შემდეგი იქნება)

# შეკითხვები და პასუხი

**შეკითხვა პირველი.** საქართველოს რევკომის დეკრეტი № 41 თანახმად ქონება წითელ-არმიელისა თავისუფალია კონფისკაცია-რეკვიზიციისაგან; ქალაქ თფილისის რევკომის მიერ გამოცემული „დეკრეტი“ს, გამოქვეყნებული ა. წ. „კომუნისტი“-ის № 219 ნუმერში, მიწვევით, მთელი შემოსავალი მალაზიებიდან შედის ქალაქის რევკომის სასარგებლოდ. უკანასკნელი „დეკრეტი“ უქმდება თუ არა საქართველოს რევკომის დეკრეტი № 41, თუ წითელ-არმიელის სახლში მოთავსებული მალაზიები არ გავრცელდება იგი?

**პასუხი.** ჯერ ერთი ამ შეკითხვაში არის ერთი უმთავრესი შეცდომა: ქალაქის რევკომს არ შეუძლია გამოსცეს დეკრეტი. დეკრეტის გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რევკომს. ქალაქის რევკომს შეუძლია იყოს ინიციატორი რომელიმე დეკრეტის, მისი პროექტის ცენტრალურ რევკომში წარდგენის მხრით, რომელსაც დაამტკიცებს რა უკანასკნელი, გამოიცემა ცენტრალური რევკომისავე ხელის მოწერით. ქალაქის რევკომს აქვს უფლება გამოსცეს ცირკულიარი, ბრძანება და დადგენილება ქალაქის ფარგლებში, მაგრამ არამც და არამც იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მთავრობის დეკრეტს, ბრძანებას, დადგენილებას და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს წინაშე იქნება კანონის დარღვევის ფაქტი. დეკრეტი № 41 არის ძირითადი კანონი, რომლის შეცვლა, გაუქმება შეუძლია მხოლოდ საქართველოსავე რევკომს. მაშასადამე დეკრეტი № 41, რჩება ძალაში და მისი გაუქმება არ შეუძლია თფილისის ქალაქის რევკომის ბრძანებას, რომელიც მოთავსებულია „კომუნისტის“ № 219.

რაც შეეხება არსებით მხარეს შეკითხვისას,— გავრცელდება თუ არა ქალაქის რევკომის ბრძანება წითელ-არმიელის სახლში მოთავსებული მალაზიებისაზე, — აქ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ორი რამ: მალაზიაც და სახლიც წითელ-არმიელისა, თუ სახლია მარტო წითელ-არმიელის და მალაზია კი გარეშე პირის. ჯერ ერთი საბჭოთა სისტემის მიხედვით, მალაზიის ბატონი, ე. ი. ისეთი პირი, რომელიც ეწევა ვაჭრობას, არ შეიძლება იყოს წითელ-არმიელი (თუ არის ასეთი შემთხვევა შეცდომის შედეგად და იგი უნდა იქნეს დათხოვნილი ჯარიდან.) ვაჭარი არმიელი დაუშვებელია. მეორე შემთხვევაში, როცა წითელ-არმიელის სახლშია მოთავსებული მა-

ლაზია და სხვა, გარეშე პირისა, მაშინ ცხადია, მიუხედავად იმისა, რომ სახლი წითელ-არმიელისა, ეს გარემოება ვერ დაიფარავს მალაზიას ქალაქის რევკომის ბრძანების გავლენისაგან.

საერთოდ დეკრეტი № 41 მუხ. 6 და 7 აშკარად ამბობს რომ კონფისკაციისაგან და სხ. თავისუფალია იმ წითელ არმიელის ოჯახი და ქონება, რომელთაც ისინი ინახავენ. ეს იმას ნიშნავს რომ თუ წითელ არმიელს ყავს ოჯახში მამა, ძმა, და, დედა, რომლებსაც იგი არ ინახავს. პირიქით, ოჯახობა ინახავდა მას როგორც წევრს, მაშინ ცხადია, იქნება რა იგი, თითონ პირადად და მისი ქონება (პირადი) თავისუფალი, ვერ დაიფარავს დანარჩენს. მაგრამ თუ წითელ არმიელი ინახავს ცოლს, შვილებს, მოხუცებულ მშობლებს, მაშინ კი დეკრეტი № 41 სავესებით ვრცელდება მასზე. გადასახადს იხდის ქონება და არა პიროვნება წითელ არმიელისა.

ამ რიგად თუ კი წითელ არმიელის ოჯახობა ეწევა ვაჭრობას, სპეკულიაციას, მაშინ იგი არ იქნება თავისუფალი არც ერთი ვალდებულებიდან და თითონ წითელ არმიელი, თუ მას სავაჭრო აქვს არ შეიძლება იყოს არმიელი. მაშასადამე ქალაქის რევკომის ბრძანება არ აუქმებს დეკრეტს № 41, მაგრამ ამასთან მალაზიას, ვისიც არ უნდა იყოს იგი დაბეგრავს და დეკრეტი № 41 მას ვერ დაიფარავს.

**შეკითხვა მეორე.** მეტრნეს აქვს მრავალი შრომა სამეურნეო დარგში, მას მიღებული აქვს გამოფენაზე ჯილდო, ერთი ოქროს მედალი, ერთი ვერცხლის და ერთიც ბრინჯაოს. შედგენილი აქვს სახელმძღვანელო, რომელიც მიღებულია სამეურნეო სასწავლებელში. აქვს შ2 წლის სტაჟი. გათავებული აქვს დაბალი სამეურნეო სასწავლებელი. ასეთ პირს შეუძლია თუ არ მიიღოს სპეცობა და სპეცის ჯამაგირი?

**პასუხი.** სპეცობის საკითხი სწყდება ბალების სისტემის მიხედვით. რომელიმე პირის დამსახურების ყოველი ეტაპისათვის დადგენილია ბალი. სწავლა განააღლებაც ბალის მიხედვით ფასდება. არის მთელი გრადუსა მის გამოსარკვევად და თუ ყოველი საფუხური სასპეცო პირის წარსულისა ეკუთვნის ბალების სათანადო რაოდენობას, მაშინ იგი ცნობილ იქნება სპეცად. ამ შემთხვევაში მას აქვს უფლება სპეცობაზე.

**შეკითხვა მესამე.** იმყოფება თუ არა რაიონის მილიციის უფროსი რაიონის რევკომის პირდა-

პირ განკარგულებაში, — თუ იგი მას არ ემორჩილება და ექვემდებარება უმეშვეოდ მაზრის მილიციის უფროსს?

**პასუხი.** მილიცია არის ადმინისტრაციული ორგანო. იგი აღმასრულებელია ადგილობრივ მალა მდგომი ორგანოთა ყველა კანონიერი დავალების და მას არ შეუძლია უარი სთქვას ასეთის ასრულებაზე. რაიონის მილიცია და მისი უფროსი ვერტიკალური ხაზის მიხედვით ექვემდებარება მაზრის მილიციას და მის უფროსს, ჰორიზონტალურად კი რაიონის რევიკომს და მაზრის რევიკომს. ეს იმას

ნიშნავს რომ ოპერატიულ ნაწილში მილიცია უმეშვეოდ ემორჩილება მალა მდგომ სამილიციო ნებისუფლებას. ადმინისტრაციულად კი იგი ემორჩილება რევიკომს და მისი ყოველი განკარგულება, ბრძანება სავალდებულოა რაიონის მილიციის უფროსისათვის. იგივე უნდა ითქვას მაშინაც, როცა ორსა ან რამდენიმე რაიონში, არის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რაიონის მილიციის უფროსი. თუმცა ასეთი მდგომარეობა (ერთი მილიციის უფროსი რამდენიმე რაიონისათვის) დაუშვებელია და საქმის შემაფერხებელი.





# შინაგან

## გე-XXII-ე №-ეი მოთავსებულ მასლაჰისა:

- 1) დეკრეტი № 80 საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის კერძო გამგებლობის შესახებ.
- 2) „ № 81 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლუცი. კომიტეტის საქართველოს მთავრობის ორგანოს და საქართველოში და საქართველოში მეოთხე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და საზოგადო დაწესებულებათა ურთიერთობის მიმართვის წესის შესახებ.
- 3) დადგენილება № 101 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის შთა რუსთველის თეატრის შესახებ.
- 4) « № 102 საქართველ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის საზოგადოებრივი მიხედვის დასახლების შესახებ.
- 5) « № 103 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის დეპუტატთა ფასების დაწესებულები კომიტეტის შესახებ.
- 6) « № 104 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის საზოგადო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებით დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთიერთი დამკვიდრებულების მოწესრიგების შესახებ.
- 7) « № 105 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის წითელ-არმიულთა დამხმარე კომიტეტის მოწესრიგების შესახებ.
- 8) « № 106 საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის რევოლუციონური ტრიბუნალების მოქმედების გაერთიანების შესახებ.

- 9) დეპუტატთა საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის დასჯა გასწავლების დაწესებულებათა მისამსახურეთათვის დისციპლინარული სასჯელის დაწესების შესახებ.
- 10) ცირკულირულად შინ, საქმეთა სახ. კომისარიატის უკვლამზრის რეკომენს, სამაზრო რეკომენს და მიხედვის უფროსს.
- 11) ბრძანება ქალაქ თბილისის რევოლუციონურ კომიტეტის საცხოვრებელ ბინების ქარისა და უძრავ ქონებათა მუნიციპალიტეტის შესახებ ქ. თბილისში.
- 12) ინსტრუქცია იუსტიციის სახ. კომისარიატის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის რევიზიის და კონტისკანის შემახებ.
- 13) ცირკულირად მიწად-მოქმედების სახელხო კომისარიატისა უკვლამზრის რეკომენს.

### არა-ოფიციალური განყოფილება.

- 14) უცხოელთა მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში. გვ. 10—16.
- 15) ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილებაში (შედეგი).
- 16) უკვლამზრის შეუწინააღმდეგებლობისათვის.
- 17) ძალა უფლება საბჭოებს. გვ. 19—21.
- 18) სამაზრო და საქალაქო რეკომენსის თავმჯდომარეთა და მათი მოადგიელების შეერთებული ურთიერთობა. გვ. 21—24.
- 19) მზრის რეკომენსში. გვ. 24—27.